ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

№ 48 ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 3 მარტი 1910 წ. № 48

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კაკაესის გარშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამკლოვიანზე განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტლ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—ოფსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირეის მოედანი.

წელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების“ რედაქციაში და „განტოლარში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

წელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავენ ინახავენ ერთის თვით მწოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდ. დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 10 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ПРОБУЖ.“

ცალკე ნომერი ყველგან ერთ—შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

მარიამ ესტატეს ასული, ბარბარე სვიმონის ასული და **გაბრიელ ნიკოლოზის ძე მამაცაშვილები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—, ძვირფას მულის, ხოლო დანარჩენნი—საყვარელ მამიდის

ნადეჟდა გაბრიელის ასულის **განძიელისას.**

პანაშვიდები ღღეს ნაშუადღევის 1 საათზე და საღამოს 7 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან (უდელნის ქუჩა № 18) ხუთშაბათს, 4 მარტს, დილის 9 საათზე ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, სადაც გადახდილი იქნება პანაშვიდი. დაკრძალვა დიდუბის ეკკლესიის სასაფლაოზე. (2—164—1)

თავ. რევაზ მიხეილის ძე ყარალაშვილი შვილებითურთ ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელ მეუღლის

კნ. სოფიო დიმიტრის ასულის **ყარალაშვილისას.**

ღღეს 3 მარტს, დილის 9 ნახევარ საათზე მიცვალებულს გამოასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკკლესიაში, საიდანაც პანაშვიდის შემდეგ მიცვალებულს წაასვენებენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე დასაკრძალავად. (1—1041—1)

სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ხ. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა**, მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—18)

მიიღება ხელის მოწერა 1910 წ. ყოველ კვირეულ სურათებიან რუსულ გაზეთ

„სტამბულსკია ნოვოსტი“-ზე

(Стамбульскія новости)

გაზეთი გამოდის სტამბოლში. „სტამბულსკია ნოვოსტი“ ერთად-ერთი გაზეთია, რომელიც ოსმალეთში რუსულ ენაზე იბეჭდება.

ხელის მოწერის ფასი:

	ოსმალეთში	რუსეთში და საზღვარგარეთ
1 წლით . .	80 პსტ.	8 მან.
6 თვით . .	40 პსტ.	4 მან.
3 თვით . .	25 პსტ.	2 მ. 50 კაპ.

ადრესი: Pèra, rue agna Hamam № 35 (Турція) Constantinople.

(5—2) მთავარი რედაქტორი **ჯელალედ-კარკმასი.**

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშობაოდ გახეოფილებით.
დია არის ყოველ დღე გარეშე მოხიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტ.ცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და [illegible] ორშ., ოთხშ., [illegible] 1—2 ს. [illegible] 11-12 [illegible]

გედევანიშვილი მ. ბ. [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—[illegible]

გურკო გ. ბ. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ბ. ბ. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., [illegible] 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

მუსხელიშვილი ვ ს. თვალის, ორშ., [illegible] პარასკ. 2 2-ნახ. ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე

პაპოვი ვ. ბ. ქურ., ყელის და ცხვი., ყო[illegible] დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

რცხილაძე. ნ. კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

ხობოლევსკი გ. ვ. ქირურ,. ყოვ. დღგ, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც ეჭირა ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მახეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—122)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ვ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

ბ. ბ. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეოროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; ავრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ეფიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—284)

ექიმი სპეციალისტი ქ. ქუთაისში **გ. დ. ბეთანოვი**

მიიღების სიფილისით, ვენერიულის და კანის სნენი ავადმყოფებს. აფთიაქის და გლუბის ქ. ქ. ბუთუნში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—ფ.—3)

ექიმი კბილისა **ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

ექიმი **ვ. ღამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოებით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. ბედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყოროანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ს.—112)

ექიმი **ა ნ. დიასამიძე**

განისა და ვენერიულ ავად ყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათოებით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმი **კბილისა რუმანიშვილი-დგებუაძისა**

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. ბლუმბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.
შინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—29

დ. ქარელში

მედიცინის ფერშალი ლ. პ. ჯინოროძე

იღებს და ნახულობს ავადმყოფებს, უკეთებს ზოგიერთ ჭრილობებს (ოპერაციას), კანში შესასხმ წამლებს, მასაჟს, უცრის ყვავილს და ღებულობს ყოველ დღე საფერშლო საქმეს. (15—155—7)

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბ. დღე. სააგენტ.)

იუსტიციის სამინისტროს ბიუჯეტი.

1 მარტს სათათბიროს განაგრძო იუსტიციის სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვა. ამ დღეს მემარჯვენე ორატორები ეხებოდნენ გოდხევის სიტყვას, რომელმაც წინა სხდომაზე განაცხადა, რომ სამინისტრომ ძირითადი კანონი შესცვალა და უმაღლესს ბრძანებებს კანონად ასაღებსო.

ძალიან იწყინეს ეს სიტყვები მემარჯვენეებმა **ზამისლოვსკიმ** და **მარკოვმა მეორემ.** ეს ორატორები ამტკიცებდნენ, რომ თუ სამინისტრომ ძირითადი კანონები შესცვალა, ამით სათითბიროს უფლებანი კი არა, ხელმწიფის უფლებანი შეზღუდა და დიდი უკანონობა ჩაიდინაო.

ილაპარაკეს აგრეთვე **როდიჩევმა** და **მეიენდორფმაც.** პირველი ამტკიცებდა, რომ იუსტიციის სამინისტრომ ფეხ-ქვეშ გასთელა მართლმსაჯულება და სულ ერთიან შეზღუდა სასამართლოს დამოუკიდებლობა. ნოვოროსიისკის პროცესში, მაგალითად, სამინისტრო სცდილობდა, სიმართლე დაემალა და თვით-ნებობა გაებატონებინაო. მეიენდორფი იცავდა გოდნევს.

კენჭის ყრის დროს სათათბირომ სურვილი გამოსთქვა, მთავრობამ შეიმუშაოს კანონ-პროექტი თერგის ოლქში ნაფიც მსაჯულმა სასამართლოს შემოღების შესახებ.

შემდეგ სათათბირო გადავიდა სატუსაღო ნაწილის ხარჯთ-აღრიცხვაზე. სატუსაღოებისა და საპყრობილეებისთვის ხარჯთ-აღრიცხვით გადადებული ყოფილა 31,731,940 მანეთი, საბიუჯეტო კომისიას ეს რიცხვი 1,234,923 მანეთით შეუმცირებია.

ექიმი **ვასილ ფერეთელი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. სადამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხმ ქიქოძის სახლი. (0—უ.—129)

ექიმი **გ. მაგაკიანი**

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს, ძიზელის 3რ., N 36, სახ. ჭავჭანიძისა. (100—წალ.—109)

ექიმი **გაბ. ი. გოკიელოვი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, ციტოსკოპია და ურეტროსკოპია (ელექტრონის საშუალებით ბუმტის და სამარდ მილის გახინჯვა) საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანების, ელექტროტერაპია, ელექტრონის ფიზიოთერაპია. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (25—ბვ.—15)

ექიმი **შ. მიძელაძე**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. სადამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, ბრეგანტის მადაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—39)

ექიმი **კბილისა ქუთაისში** **ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. ბლუმბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბოლონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—378)

ექიმი **დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სადამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

ექიმი **ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი **კბილისა ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. ბოლოვინის პრეს. N 12, სახლი მდივანიხა. (უ)

ექიმი **ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—71

სატუსაღოთა მთავარ სამმართველოს უფროსი. სათათბიროს თანხა შეამცირა, რადგან ჰგონია, რომ ახალ კანონების წყალობით ტუსაღების რიცხვი შეცოტავდება. ნამდვილად-კი ასე არ არის—ახალი კანონი იმის შესახებ, რომ დამნაშავეს ჩაეთვალოს განაჩენამდე საპყრობილეში გატარებული დრო, ძალაში შევიდა მხოლოდ ერთი კვირის წინად და ნაყოფს გამოიღებს მარტო 1911 წელს; კანონი სათუო დასჯის შესახებ სახელმწიფო საბჭოს ჯერ არც-კი განუხილავს; კანონი ვადამდე განთავისუფლების შესახებ ახალი ხილია, ამიტომ ძალიან ფრთხილად ეკეკვიან და ცოტას ანთავისუფლებენ. როგორცა ჰხედავთ, ჯერ-ჯერობით საგრძნობლად არაფერი შეცვლილა, მაშასადამე, ტუსაღების რიცხვიც არ მოიკლებს. ორატორის სიტყვით, შეუძლებელია კრედიტის შემცირება.

კუზნეცოვი. თანამედროვე დანაშაულობა შედეგია კლასიურ სახელმწიფოს არსებობისა. დანაშაულობის მოსპობა რეპრესიებით შეუძლებელია. რუსეთში ამას წოდებრივი ჩაგვრა ემატება. მეორეს მხრით მთავრობა პოლიტიკურ შურისძიების სისტემას აწარმოებს და საპყრობილეებს პოლიტიკურ მებრძოლებით ავსებს. ყველა ამის გამო ს.-დემოკრატები თავიანთ ხმას სატუსაღო ნაწილის ხარჯთ-აღრიცხვის წინააღმდეგ მისცემენ.

ანტონოვი. ტუსაღების რიცხვი დიდია, სატუსაღო-კი ცოტაა. ამის გამო შეუძლებელი ხდება ტუსაღების გასწორება და სანიტარულ პირობის დაცვა. საჭიროა აიგოს მთელი რიგი ახალ ცენტრალურ სატუსაღოებისა.

გერასიმოვმა აღნიშნა ანტი-სანიტარული მდგომარეობა რუსეთის სატუსაღოებისა, აგრეთვე ის ჯოჯოხეთი—რეჟიმი, რომელიც იქ არის გაბატონებული. სთქვა, აგრეთვე, რომ მთავრობას სატუსაღოები გამასწორებელ დაწესებულებად კი არ მიაჩნია, არამედ შურისძიების იარაღადაო.

პეტროვი. ანტონოვი გვირჩევს ახალი სატუსაღოები ავაგოთ. უმჯობესი იქნება ახალი სკოლები გავმართოთ. ორატორმა აღნიშნა, რომ სატუსაღოებში ძალმომრეობა და თვით-ნებობაა გაბატონებული.

ლიუცმა, ოქტომბრისტმა, მემარცხენეებს უსაყვედურა: იმდურებიან სატუსაღოებში ანტისანიტარული მდგომარეობაააო, ხოლო როცა ახალ სატუსაღოების აგებაზე ჩამოვარდება ხოლმე ლაპარაკი, პროტესტს აცხადებენო. შემდეგ ორატორი ამტკიცებდა, რომ ყველა შეკითხვა სატუსაღოების შესახებ, ს.-დემოკრატების მიერ შემოტანილი, სიმართლეს მოკლებულია.

მარკოვმა მეორემ სთქვა: ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მშვიდობიან მცხოვრებთა და არა დამნაშავეთა კეთილდღეობისთვის. ტუსაღების რიცხვის შესამცირებლად უნდა შემოვიღოთ გაროზგვა მცირე დანაშაულობისთვის და თავის მოკვეთა—მძიმე დანაშაულობისთვის.

კამათი ამ ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ არ დამთავრებულა და მეორე დღისთვის გადავიდო.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 მარტი.

საზღვარ-გარედ.

ბერლინი. „პრესს-ბიურო“-ს სიტყვით ტყუილია უცხოეთის გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრს მილოვანოვიჩს სტამბოლში ყოფნის დროს ოსმალეთის მთავრობისთვის მოეთხოვნოს, რომ ოსმალეთ-სერბიის სავაჭრო ხელშეკრულებაში შეეტანათ საიდუმლო მუხლი, რომელიც ავსტრო-ჰუნგრეთის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული. ტყუილია აგრეთვე ის ხმა, ვითომ ოსმალეთს და სერბიას განზრახვა ჰქონდეთ დაედოთ ხელშეკრულობა. იმ შემთხვევისთვის, თუ ოსმალეთს და ბოლგარიას შორის ომი მოხდებოდა.

ბერლინი. „პოსტი“ ეხება ბოლგარიის მეფის ფერდინანდის გადაწყვეტილებას სტამბოლში წასვლის შესახებ და სწერს: ფერდინანდის გადაწყვეტილება მოწმობს, რომ ოფიციალური ბოლგარიაც მოწადინებულია დაიცვას ბალკანეთის სტატუსკვო. სიმართლეს მოკლებული იქნება ვიფიქროთ, რომ ფერდინანდის სტამბოლში ჩასვლა მოასწავებდეს რუსეთის გამარჯვებას და ავსტრიის დამარცხებას. ავსტრიასაც ხომ სურს ბალკანეთის სტატუსკვოს დაცვა. ფერდინანდის სტამბოლში ჩასვლით ერენტალიც ისეთივე კმაყოფილი დარჩება, როგორც იზვოლსკი. ტყუილია ის, ვითომ სტამბოლში ავსტრიის საწინააღმდეგო გეგმას ადგენენ. ყოველ შემთხვევაში სტამბოლში ფერდინანდის ჩასვლა მშვიდობიანობის დაცვას მოასწავებს.

ვენა. ლიუეგერის დასაფლავებას დაესწრნენ იმპერატორი, მეფის საგვარეულოს წევრები, მინისტრები, დეპუტატები მუნიციპალიტეტის წევრები და აუარებელი ხალხი.

ბერლინი. „ლოკალ-ანცეიგერს“ ათინიდან ატყობინებენ: თესალიის ხალხი ძალიან აღელვებულია. სხვა და სხვა ადგილას გაიმართა კრებები. კრებებზედ ხალხმა მთავრობას პროტესტი განუცხადა, თესალიის მემამულეების საკითხში რიგზედ ვერ იქცევაო. კარგიცში შეიარაღებული ხალხი თავს დაეცა სამგზავრო მატარებელს. დაჭრილია მაშინისტი და მისი თანაშემწე. ხალხმა სულ ერთიანად დაამტვრია ორთქლმავალი და საქონელი დაიტაცა. მინისტრ-პრეზიდენტმა დრაგუმისმა თესალიის გლეხკაცობის დეპუტაციას გამოუცხადა, მთავრობას შეუძლიან მხოლოდ რამდენიმე ნაჭერი მიწა უყიდოს გლეხებსო. კარიგოსში გაიმართა მიტინგი საერო სკოლების წინააღმდეგ. მიტინგის შემდეგ კათოლიკებს და მათ მოწინააღმდეგეებს შეტაკება მოუვიდათ. საქმეში პოლიცია ჩაერია. დაჭრილია რამდენიმე კაცი.

სტამბოლი. მთელი პრესსა აღტაცებით ეგებება სლავიანთა სახელმწიფოებთან მეგობრულ კავშირის განმტკიცებას. პრესსის აზრით ამის მომასწავებელია ბოლგარიის და სერბიის მეფეების ფერდინანდის და პეტრეს და ჩერნოგორიის მთავრის ნიკოლოზის გადაწყვეტილება სტამბოლში ჩასვლის შესახებ. „ტანინი“ სწერს: მეფე ფერდინანდი—პოლიტიკოსია, იგი სანტიმენტალობას მოკლებულია და მგზავრობას თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. ჩვენ დაუმტკიცებთ ფერდინანდს, რომ მისი გულწრფელი მეგობრები ვართ. ორთავე სახელმწიფოების ურთიერთი ნდობა და მეგობრობა დაიცავს ბალკანეთის მშვიდობიანობას და ხელს შეუწყობს ორივე სახელმწიფოების კულტურულ და ეკონომიურ აყვავებასო.

ბერლინი. კანცლერმა რეიხსტაგს შეატყობინა, მთავრობამ უკვე დაამზადა კანონ-პროექტი ელზასლოტარინგიის კონსტიტუციის შეცვლების შესახებ და ამ მოკლე ხანში რეიხსტაგს წარუდგენსო.

ლანდტაგმა მიიღო ახალი საარჩევნო კანონი ცენტრის და კონსერვატორების შესწორებით.

კალკუტა. დალაი-ლამამ ინახულა ვიცე-კოროლი. რამდენიმე ხნის შემდეგ ვიცე-კოროლი დალაი-ლამას ესტუმრა.

ლონდონი. დაუბატიმრეს პარიზიდან ჩამოსული ინდოელი სტუდენტი სავარკარი. ბრალდება ინდოეთის ასაღელვებლად პროპაგანდის გაწევა.

ბუდაპეშტი. იუსტის პარტია მომავალ არჩევნებში სერბიელ რადიკალებთან ერთად იმოქმედებს. სერბიელ რადიკალებს გადაწყვეტილი აქვთ ვენის წინააღმდეგ იმოქმედონ. გრაფმა სტეფანე ტისსმა არადში სიტყვა წარმოსთქვა, საჭიროა მადიარები სხვა ერებს დაუკავშირდნენო. ტისსმა სასტიკად გაჰკიცხა წინანდელ მთავრობის მოქმედება, ამ მთავრობამ ეროვნული საკითხი გაამწვავაო.

ვენა. „კორესპონდენტ ბიურო“-ს სოფიიდან დეპეშით ატყობინებენ: რუშჩუკში ჯარსა და ხალხს შეტაკება მოუვიდათ. შეტაკება გამოიწვია მთავრობის განკარგულებამ რომ ოსმალო-ქალი, რომელიც თავის საყვარელ ბოლგარელის დედ-მამასთან გაიქცა, სახლში დაებრუნებინათ. ამბობენ, მოჰკლეს 17, დასჭრეს 32 კაცი. ბოლგარელი და ქალი რუმინიაში გაიქცნენო.

სპარსეთი

თავრიზი. სათარ-ხანმა და ბაგირხანმა მთავრობის წინადადებაზედ უარი განაცხადეს, თეირანში ვერ ჩამოვალთო.

რუსეთი

მოსკოვი. კრასნოსელის ქუჩაზედ, ვინსბერგის აფთიაქში, ბენზინი აფეთქდა. მძიმედ დაშავდა ორი მოსამსახურე.

ნიჟნი-ნოვგოროდი. დაუბატიმრეს სამი ბოროტგანმზრახველი. ბრალდებათ არზამასში სულის წმიდის ეკლესიის გაცარცვა.

ტროიცკოსავსკი. გაიქცა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების უფროსი ურლუკი. ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებაში 30,000 მანეთია გაფლანგული.

პეტერბურგი. იუსტიციის მინისტრმა სახელმწიფო სათათბიროს მემარჯვენეებს შეატყობინა, უყურადღებოდ ვსტოვებ თქვენს განცხადებას და სამართალში ვერ მივცემ საპარლამენტ-შორისო კავშირის რუსეთის ჯგუფს, რადგან არსებული კანონებით მათი მოქმედება არ ისჯებაო.

პლოცკი. ბაღში პარტიულ ნიადაგზე მოჰკლეს ზეინკალი. მკვლელი დაუბატიმრეს.

ვარშავა. პოკორნი ქუჩაზე მეჩექმის სახლში პარტიულ ნიადაგზე ყუმბარა შეაგდეს. დაიმტვრა კარები, ფიცრის კედელი და ფანჯრები. არავინ დაშავებულა.

იშიმი. უსტ-კამენსკის ბაზრაში რამდენიმე ბოროტ-გამზრახველი გასაცარცვავად თავს დაეცა შეძლებულ გლეხის ოჯახს. ბოროტ-განმზრახველებმა მოჰკლეს გლეხი, მისი ცოლი და ქალი. მკვლელები დაუბატიმრეს.

პეტერბურგი. ადმინისტრაციის განკარგულებით კონფისკაცია უყვეს ჟურნალ „ობრაზოვანიეს“ პირველ ნომერს.

ვოლოგდა. რეალურ სასწავლებელში ყუმბარა შეაგდეს. ჩაიმტვრა ფანჯრები.

პეტერბურგი. მოგებათა ტირაჟი: ორასი ათასი—19201/5; სამოცდა თხუთმეტი ათასი—10188/46; ორმოცი ათასი—18021/26; ოცდა ხუთი ათასი—4424/36; ათი ათასი—294/8, 4545/42, 10429/20; რვა—ათასი—11650/18, 804/5, 11913|33 18846/31, 21|5; ხუთი ათასი—5112|33, 6320|43, 10894|38, 5344|43, 16545|37, 18671/44, 9398/7, 5499/18; ათასი—10773/20, 5194/23, 6567/33, 8006/21, 12009/20, 10695/17, 12817/38, 12714/2, 4372/41, 19129/32, 5230/21, 16636/4, 11626/26, 17948/35, 4762/49, 9215/50, 14430/21, 9450/44, 9359/45, 7455/2.

ნაწყვეტები

ვისკენაა სიმართლე?

ამას წინად ნაწყვეტებში აღვნიშნე, თუ როგორ უსამართლოდ მოიქცა ბ-ნი შხეფელი, როდესაც გაზეთ „მომავალში“ უსაყვედურა ჩვენს ახალგაზრდა მგოსანს ა. შანშიაშვილს, საზოგადოებრივი და მოქალაქობრივი მოტივებ ი არ გაინტერესებსო. ჩემი აზრის დასამტკიცებლად მოვიყვანე რამდენიმე ლექსი ა. შანშიაშვილისა, სადაც ნათლადა სჩანდა, რომ ამ პოეტისთვისაც ძვირფასია მოქალაქობრივი თავისუფლება, ამ პოეტისთვისაც ძვირფასია მშრომელი ხალხი და მისი ინტერესები.

ეხლა გაზეთ „ახალ სხივში“ ბ-ნ შხეფელის აზრების დასაცველად გამოსულა ბ-ნი მიმოზა და ჩემს წინააღმდეგ მთელი ფელეტონი დაუწერია: „ბ-ნ ახალის სიმართლე“. ბ-ნი მიმოზა სიმართლეს გვიწუნებს და ვნახოთ, მართლაც ვისკენ ა სიმართლე.

„შანშიაშვილზე და გრიშაშვილზე შხეფელმა სთქვა: ესენი მხოლოდ სიყვარულს და სამშობლოს უკმევენ გუნდრუკსაო“, ამბობს ბ-ნი მიმოზა. მაშასადამე, ბ-ნ შხეფელის აზრი კარგად გამიგია და ამიტომაც მოვიყვანე ა. შანშიაშვილის ლექსები ისეთ თემაზე მხოლოდ, რომელთაც ბ-ნი შხეფელი მოქალაქობრივ მოტივებათ სთვლის. აქ მოქალაქობრივი მოტივებია-მეთქი, აღვნიშნე. „მართალია, გეთანხმებითო“, გვიპასუხებს ბ-ნი მიმოზა. აი სწორედ, ჩემი წერილის მიზანიც ეს იყო. მე მინდოდა მეჩვენებინა მკითხველისათვის, რომ ა. შანშიაშვილსაც აქვს დაწერილი ლექსები მოქალაქობრივ მოტივებზე, რასაც ეარჰყოფდა ბ-ნი შხეფელი და რასაც გვიდასტურებს ეხლა ბ-ნი მიმოზა. მაშასადამე, ამ მთავარ სადაო საგანში ჩემი „სიმართლე“ სწორი ყოფილა: აკი თვით ბ-ნი მიმოზაც მეთანხმება! მაშ რაღას გვედავება იგი?!

ბ-ნ მიმოზას აზრით, ა. შანშიაშვილის ის ლექსები, რომელიც მე მოვიყვანე, 1905 წელს არის დაწერილი, და მაშინ ხომ თვით უდიდესი დეკადენტი ბალმონტიც პროლეტარიატს გუნდრუკს უკმევდაო, დასძენს ჩვენი ოპონენტი. აქ ცხადი შეცდომაა. ჩემს „ნაწყვეტებში“ ნათლად იყო გამოთქმული, რომ ა. შანშიაშვილმა, როგორც **მგოსანმა**, ბრძოლას ვერ მოუსწრო და მხოლოდ დამარცხების და იმედების დამსხვრევის მოწამე შეიქნა. მართლაც, ბ-ნი მიმოზა რომ ჩაჰკვირვებოდა ჩემ მიერ მოყვანილ ლექსების შინაარსს, ცხადად დაინახავდა, რომ ამ ლექსებში ა. შანშიაშვილი მხოლოდ დამარცხებაზედ ლაპარაკობს. მაშასადამე, ის აზრი, თითქოს ა. შანშიაშვილმა მხოლოდ გამარჯვების დროს შეასხა ქება მშრომელ ხალხს და მერე კი უმტყუნა, სწორი არ გამოდგა და ამიტომაც, პირველი სადაო საგანი ბ-ნ მიმოზას სასარგებლოდ არა სწყდება. ა. შანშიაშვილი დამარცხების დროს ამოუდგა გვერდში მშრომელ სალხს და მიაძახა:

„ერთხელმც იქნება, ტაღდებო,
დაჭეშუნებთ, დაიგრიალდებთ
და ჩარხს უკუდმა მბრუნავსა
ბირ-სწორად დატრიალებთ!“

გადავიდეთ შემდეგზე.

„პოეტის თუ მწერლის დაფასების დროს მის ნაწარმოებთა კვინტესესენცია, სული და გული—თავი და თავი და არა ორიოდე ლექსიო“ ამბობს ბ-ნი მიმოზა. სიმართლეა, მაგრამ არ ვეთანხმებით ბ-ნ მიმოზას იმაში, თითქოს ა. შანშიაშვილის „ორიოდე ლექსი“ ჰქონდეს დაწერილი მოქალაქობრივ თემებზე. სრულიადაც არა! ჩვენს ახალგაზდა მგოსანს ამ თემებზე მრავალი ლექსი აქვს დაწერილი, არა ნაკლები, ვიდრე სიყვარულსა და სამშობლოზე, რაც ეგრე არ მოსწონთ ბ-ნთ შხეფელს, და მიმოზას. ამ ლექსთა შორის ერთში („წყლის პირას მარტო“) ახალგაზდა მგოსანი პირდაპირ ამბობს, თუ რაში ჰხედავს თავის მგოსნურ მოვალეობას: ჩაგრულთ შეუშროს ცრემლი და გავრცელოს მშრომელ ხალხში სიყვარული ძმობისა, ერთობისა და თავისუფლებისადმი. მაშასადამე, არც ამ სადაო საგანში არის მართალი ბ-ნი მიმოზა. საჭირო იყო მხოლოდ წაეკითხა ა. შანშიაშვილის ნაწარმოებნი და მაშინ შეცდომაში არ შეევიდოდა. წინა წერილში ვსთქვი და ეხლაც ვიმეორებ, ა. შანშიაშვილმა მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ ორი თუ სამი წელიწადია, რაც გამოვიდა სამწერლო ასპარეზზედ, მეტად დიდი მრავალფეროვანება და ნაყოფიერობა გამოიჩინა რაღა თქმა უნდა, ამისათვის მას საყვედური სრულიადაც არ ეთქმის. ა. შანშიაშვილის პოეზია—სასიხარულო მოვლენაა, ჩემის აზრით, ქართულ ლიტერატურაში, საუბედუროდ, მეტად ათვალისწუნებული ჰყავს ეს ახალგაზრდა მგოსანი ერთს ნაწილს ჩვენის პრესისას. მხოლოდ ბ-ნი ყარიბი ასცდა ასეთ უსამართლობას.

* * *

აი ყველა ის, რაც მოიყვანა ჩემს წინააღმდეგ ბ-ნმა მიმოზამ. მკითხველი ნათლად დაინახავს თუ ვისკენ არის სიმართლე.

მაგრამ ბ-ნი მიმოზა ამით არა კმაყოფილდება და თუმცა თავის ფელეტონს „ბ-ნ ახალის სიმართლე“-ს არქმევს, ნამდვილად-კი „ახალზე“, ე. ი. ჩემ წერილზე შედარებით ცოტას ლაპარაკობს და უფრო დიდ თავის წერილის დიდ ნაწილს დეკადენტურ მწერლობას, ბალმონტს, არციბაშევის „სანინს“, კიტა აბაშიძეს და რობაქიძეს და კიდევ ... რამე სხვას უთმობს. ყველა ამის შესახებ ბ-ნი მიმოზა გამოსთქვამს იმას, რასაც რუსები „взглядъ и нѣчто“-ს ეძახიან. ყველა ეს ჩემს წერილს სრულიადაც არ ეხება, არ ეხება იმიტომ, რომ მე დეკადენტურ მწერლობაზე „ნაწყვეტებში“ ჩემი აზრი არ გამომითქვამს დეკადენტები არც მიქია და არც მიძაგებია.

არც ა. შანშიაშვილის შესახებ მიფიქრია, კრიტიკულ წერილის დაწერა; ამიტომ არც ის აზრები ეხება ჩემს წერილს, რომელიც გამოთქმული აქვს ბ-ნ მიმოზას საერთოდ კრიტიკის შესახებ. მე წინადაც ვსთქვი და ეხლაც ვიმეორებ: მე დავსწერე მხოლოდ ჩემი შთაბეჭდილებანი ბ-ნ შხეფელის წერილის იმ ნაწილის შესახებ, სადაც იგი ა. შანშიაშვილს ეხებოდა.

თუ ბ-ნ მიმოზას ეინტერესება ჩემი აზრი დეკადენტურ მიმართულების და არციბაშევის „სანინის“ შესახებ, შემიძლიან ვაუწყო, რომ არც მე ვარ მომხრე ყველა ამაებისა და არც მე მიმაჩნია სოლოგუბის და ბალმონტის ლიტერატურული მიმართულება და არციბაშევის „სანინი“ დადებულ მოვლენად რუსულ ლიტერატურაში. ვიტყვი კიდევ მეტს: თუ ა. შანშიაშვილი, რომელშიდაც მე სერიოზულ პოეტურ ნიჭსა ვხედავ, ბალმონტისა და სოლოგუბის გავლენას დაემორჩილა—შორს ვერ წავა.

* * *

თუმცა პასუხი გაგვიგრძელდა, მაგრამ ერთი კიდევ უნდა აღვნიშნო ბ-ნთ შხეფელისა და მიმოზას წერილებში: ეს მათი ინტიკცება, თითქოს მხოლოდ მოქალაქობრივობით შეიძლებოდეს გაზომვა მხატვრულ ნაწარმოებისა, თითქოს ადამიანის გრძნობათა დახატვა და წარმოდგენა სრულიად უვარგისი თემა იყოს პოეტისათვის. ასეთი შეხედულება ძლიერ შემცდარია, და ბ-ნნი შხეფელი და მიმოზა შეიძლება მათთვის სახიფათო დასკვნამდის მივიდნენ, თუ ლოღიკურად გაჰყვენ თავიანთ აზრს. ავიღოთ პატარა მაგალითი. მათ შეუძლიანთ უარ-ჰყონ შექსპირის გენიალური ნაწარმოები „ოტელლო“, რომელიც სრულებით არ არის მოქალაქობრივ თემაზე დაწერილი და ადამიანს მხოლოდ ერთს, შედარებით უბრალო გრძნობას, იჭვიანობას, გვიხატავს, თუმცა გვიხატავს გენიალურად.

ამიტომაც სრულიად უსამართლოდ ჰყავთ ათვალწუნებული ბ-ნთ შხეფელს და მიმოზას მეორე ჩვენი ახალგაზდა მგოსანი, ი. გრიშაშვილი, რომელიც უფრო მეტს თავის გრძნობებზე სწერს, თუმცა დრო გამოშვებით არც მოქალაქობრივ თემებს ივიწყებს. რადგან ბ-ნ მიმოზას ძლიერ მოსწონს იასამანის პოეზია და ამ ავტორს დანარჩენ მწერლებზე გაცილებით უფრო მაღლა აყენებს, ამიტომ ვაძლევ მას პატარა ამოცანას; რომელი ლექსი სჯობია: ბ-ნ იასამანის „ტბა“, რომელიც ბ-ნ მიმოზას ფელეტონის წინ არის დაბეჭდილი და რომელშიდაც შესაძლებელია ღრმა მოქალაქობრივი აზრები იყოს გამოთქმული, თუ სულ პატარა ლექსი იმავე ი. გრიშაშვილისა „ჩანჩქერი“, რომელიც აქვე მოგვყავს:

ტეღქობს,
ნაზობს,
მოკისკასობს,
მოშხეის და მორნავარდობს,
მაგრამ ჩემს ზირს
ის არა სტირს,—
არად აგდებს... არს დარდობს!...
იგდაკნება... გზას იკოფავს...
ეკავიდთ მდედოს-ფერად საბანს—
მარგალიტის ცვრებით ნამავს,
შესცინის და გულ-მკერდსა ჭბანს!

ტეღქობს,
ნაზობს,
მოკისკასობს,
მოხეუხეუხებს, მონავარდობს;
ჩემს ცრემლს, წუხილს,
გრძნობათ დუდიღს
არად აგდებს... არს დარდობს!..

არა მგონია, რომ ასეთი შედარება ი. გრიშაშვილისათვის საშიშო გამოდგეს.

ახალი

ქუთაისის ავ-კარგი

თავად-აზნაურთა კრება.

27 თებერვალ.

ვერ იქნა და ვერ მიეჩვევნენ რუსული ლაპარაკის მოტრფიალე ქართველები იმ აზრს, რომ კრებაზე, სადაც რუსულის არ მცოდნენი სჯარობენ, რუსული ლაპარაკი შეუძლებელია. ბრალიანი და უბრალო, რუსული მცოდნე და არ მცოდნეც-კი რუსულად რატრატებს თითქო ქართულად შეუძლებელი იყოს აზრის გამოთქმა. თავად-აზნაურთა კრებებზე ამ გვარ კაცების საქციელმა იმდენად გააბოროტა ზოგიერთი, რომ რამდენიმე კაცმა განუცხადა რუსულის მოტრფიალეთ თუ კვლავ დაიწყეთ ასე ლაპარაკს, გიკივლებთო.

საქმიანობის მხრით 27 თებერვლის კრება იმ ნაირივე უფერული იყო როგორც სხვა კრებები. კვლავ აღიძრა ლაპარაკი იმ კომისიის შესახებ, რომელმაც თვალ ყური უნდა ადევნოს როგორც შენობის აგებას ისე ფულის ხარჯვას. კრებამ მცირე კამათის შემდეგ გადასწყვიტა დასტოგოს არსებულ საამაშენებლო კომისიის წევრები ბ-ნ. დ. წერეთელი და კირილე ლორთქიფანიძე. ამათ გარდა არჩეულ იქნენ: თავ. ს. ნ. ლორთქიფანიძე, მ. ე. დარსგელიძე, გ. ლ. ქორქაშვილი, ა. ს. საყვარელიძე, კ. ფ. ბაქრაძე და ვ. მ. გოცირიძე.

რა-კი კომისიის წევრთა არჩევა დამთავრდა, შეუდგნენ იმ საკითხების კენჭის ყრას, რომელიც ერთ ხმად არ არის მიღებული. დახურულის კენჭის ყრით უარ-ყოფილ იქნა დეპუტატთა საკრებულოს წინადადება, რომ ქალთა მთავრობის გიმნაზიას ასაშენებლად მიეცეს 500 მანეთი (91 ხმით წინააღმდეგ 101 ხმისა). მიღებულ იქნა ხმის უმეტესობით: ა) დეპუტატთა საკრებულოს მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა (163 ხმით წინააღმდეგ 28 ხმისა) იმ განსხვავებით, რომ ხარჯთ-აღრიცხვას (9184 მან.) მიემატა 200 მანეთი. ბ) დეპუტატთა საკრებულოს წინადადება, რომ გიმნაზიის შენობის ვალი, 132 ათასი მანეთი, დაიფაროს თავად-აზნაურთა იმ თანხიდან, რომელიც საადგილ-მამულო ბანკშია ძირითად თანხის სახით. გ) დეპუტატთა საკრებულოს წინადადება, რომ ქართულ გიმნაზიის შენობა გადაგირავდეს ბანკში იმ ანგარიშით, რომ ვალი არ აღემატებოდეს 200 ათას მანეთს.

ვიდრე კენჭის ყრას შეუდგებოდნენ, გუბერნიის წინამძღოლმა თავმჯდომარეობა გადასცა თავის მოადგილეს თ-დ დ. ნიჟარაძეს, რომელმაც კენჭის ყრის გათავების შემდეგ განაცხადა, პროგრამაში მოთავსებული საკითხები დამთავრებულია და მეორე დღისათვის მოიწოდა კრება, რომელიც არჩევნებს უნდა შეუდგესო. ასეთმა განცხადებამ პროტესტი გამოიწვია, რადგან ყველამ იცოდა, რომ კრების მიერ არჩეული გამომძიებელ კომისიის მოხსენება ჯერ განხილული არ იყო. განსაკუთრებით ცხარობდა ბ-ნი ვ. ალშიბაია, მაგრამ კრების დახურვის შემდეგ ვინ რას გააწყობდა?!.

დაიშალა უკმაყოფილო კრება. ბევრი სამართლიან ბრალსა სდებდა თ-დ ნიჟარაძეს და იმის მომხრეებს, რომ მათ სწადიანთ საქმის გადაფუჩეჩება. როგორც მერე გამოირკვა, თვით თავ. დ. ნიჟარაძეც მიმხვდარიყო, რომ გამომძიებელ კომისიის მოხსენების გადაფუჩეჩება მასვე ავნებდა და ამიტომ წერილი მიეწერა კომისიის წევრისათვის თავ. ს. მიქელაძისათვის, ხვალ, ე. ი. 28 თებერვალს, აუწყეთ კრებას თქვენი გამოძიების შედეგიო.

პროფესორი ნ. მარრი უვიცობის სამსჯავროს წინაშე

(შემდეგი*)

II

1906 წელს პრ. მარრმა შემდეგი წიგნი გამოსცა: „Аркаунъ, монгольское названіе христіанъ, въ связи съ вопросомъ объ армянахъ-халкедонитахъ“. ამ გამოკვლევაში პროფესორი შეეხო სომეხ-ქალკედონელების საკითხს და, სხვათა შორის, ხსნის სიტყვა „არქაუნ“-ს. ამ სიტყვას მეცნიერები სხვა და სხვა ნაირად ხსნიან. მარრსაც მოჰყავს ერთი თვისი სათუო (предположительное объясненіе, იხ. გვ. 1.) ახსნა: შეიძლება ეს სიტყვა წარმომდგარი იყოს სომხურ „არქაი“ (მეფე), „არქუნი“ (სამეფო) - დან და იხმარებოდეს იმავე მნიშვნელობით, როგორც სირიული „მელქიტი“ (სამეფო). ამ სახელს კი ატარებდნენ ქრისტიანე-ქალკედონელნი სირიაში.

ბ-ნი ჯანაშვილი უსაყვედურებს პრ. მარრს: „არ ვიცით რა მიზეზით ქართულ უუძველესი და თითქმის კითხვის **გადამწყვეტი** წყაროები **სრულიად** არ მოუხსენებია თავისს გამოკვლევაში“ (ხაზი ჯან—სა, გვ. 66.) საქმე ის არის, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ ყოფილა ადგილი, სადაც „არქვანი“ მოხსენებულია სხვა მნიშვნელობით, ვიდრე პრ. მარრსა ჰგონია. ეს გარემოება პრ. მარრს ჯანაშვილზე ბევრად უფრო ადრე სხვებმა მოაგონეს. 1906 წელსვე ბ-ნმა ი. ჯავახიშვილმა, როგორც სპეციალისტმა-ისტორიკოსმა მიუთითა პრ. მარრს „ქართლის ცხოვრების“ ამ ლაგზე. (იხ. „Визант. Врем.“, т. XII, გვ. 438). და განა თვით პრ. მარრის სურვილი არ იყო ამ საკითხისათვის მიექციათ სპეციალისტებს ყურადღება, რადგან, საკითხი ფრიად რთული და ჯერ კიდევ გამოურკვეველია. (იხ. Аркаунъ, გვ. 67.) და ამის შემდეგ ურიგობა არ არის პრ. მარრს დასწამო რისიმე განგებ მიმალვა?!.

მეორე გარემოება, რომელზედაც ბ-ნ ჯ—ლს მიუქცევია ყურადღება, ის არის, რომ პრ. მარრმა საქართველოს ნაწილები ტაო-კლარჯეთი ვითომც სომხეთის ნაწილად გამოაცხადა. ბ-ნი ჯან—ლი აქაც ძლიერ ურიგოდ ეპყრობა პრ. მარრის შრომას, ამახინჯებს როგორც ფრაზებს, ისე ცალკე სიტყვებს. მაგ. მარრის монашествующіе грузины (გვ. 22) ჩოხოსან ქართველებად გადაუთარგმნია (გვ. 70.), მარრის не спасали (გვ. 6) არ ინდობდნენ (გვ. 69) და სხვა მრავალი. ჩამოთვლაც შეუძლებლად მიგვაჩნია. ვიტყვით მხოლოდ ორიოდე სიტყვას ტაო-კლარჯეთის შესახებ. ჯან—ლის აზრით, ტაო-კლარჯეთი მუდამ და ყოველთვის საქართველოს ოლქები იყვნენ როგორც ადმინისტრატიულად, ისე კულტურულადაც. ამის დასამტკიცებლად უმთავრესად მ. ქორენელს იმოწმებს: „ივერიაში შემდეგი ქვეყნებია: 1. კლარჯ, 2. არტაჰან, 3. შავშეთ, 4. ჯავახი, 5. სამცხე და აჭარა... და სხვ. (გვ. 71). მართალია, ქორენელს ეს ალაგი მოხსენებული აქვს ასე, მაგრამ იგივე ქორენელი იმავე წიგნში ტაოს დიდი სომხეთის მე-14 კუთხედ ასახელებს (იხ. „Арм. Геогр.“ изд. Патканова, 1877 г. СП.-Б. გვ. 43), ხოლო რაც შეეხება კლარჯეთს, ამას აღიარებს გუგარქის მე-9 ოლქად და თვით გუგარქს კი სთვლის დიდი სომხეთის მე-13 ოლქად (43 გვ.) და დასძენს, რომ მის დროს (7—8 ს.) გუგარქს ქართველები ჰფლობდნენო (გვ. 52.) აქედან ცხადათ სჩანს, რომ კლარჯეთი ხან სომხეთის ხელში იყო და ხან ქართველების. მაგრამ ადმინისტრატიული მფლობელობა რომლისამე კუთხისა სულ სხვაა და სრულიად არ არკვევს საკითხს, თუ როგორი კულტურული ელფერი აქვს ამ კუთხეს. და აი სწორედ ამაზეა ლაპარაკი. პრ. მარრი ამბობს: „ვინ არიან მკვიდრნი ამ კუთხისა (ტაო-კლარჯეთის) ამ ხანად ჩვენ არ გვაინტერესებს. ალბად ლაზთა ან მეგრელთა ტომი (ლაზები და მეგრელები ქართველების ძმური მონათესავენი არიან), მაგრამ მე-7 ს. ეს კუთხე სომხური იყო, ყოველ შემთხვევაში, სომხური ელფერი ჰქონდა და სჩანს, რომ აქ ჰყვაოდა სომხური ქალკედონობა“ (გვ. 21—22). მე-8—9 საუკუნიდან აქ იწყება ქართული კულტურის თანდათანი ზრდა, ასე რომ მე-11 საუკ. ეს კუთხე კულტურულადაც სრულიად ქართული შეიქმნა და იქ მყოფნი სომხებიც ერთიანად გაქართველდნენ. რაზე ამყარებს პრ. მარრი თავის ამ მოსაზრებას? საბუთი ბევრი მოჰყავს, მაგალითად, ტაო-კლარჯეთის მცხოვრებთა ენაში დაცულია ადგილობრივი სომხური სიტყვები, როგორც „ტანუტერი“ „მამასახლისის“ მაგიერ, თვით მონასტრების სახელები—იშხან, შატბერდ, მიზნაძორ და სხვ. უფრო მეტ ცნობებს იძლევა „ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ“, რომელსაც ბ-ნი ჯან—ლი სრულიად არ იცნობს და მუდამ სდუმს მასზე. სხვათა შორის, იქიდან ვგებულობთ, რომ იშხანი, რომელიც ქართველმა ეპისკოპოსმა სამამ განაახლა (8—9 ს.), წინად სომეხ კათალიკოზის ნერსესის მიერ ყოფილა აშენებული: „ნებითა ღმრთისაჲთა იქმნა საბა ეპისკოპოს იშხანსა ზედა ნეტარისა ნერსე კათალიკოზის აღშენებულსა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისსა, რომელი წელიწადია მრავალთა დაქურივებულ იყო“ (გვ. ლ.) ბ-ნი ჯანაშვილი ამ საბუთებს არავითარ ყურადღებას არ აქცევს. და რა საჭიროა იმისთვის ამისთანა ახლად აღმოჩენილი საბუთები, როდესაც ძველიც ბლომად მოეპოვება. და თუ მაინცა და მაინც აუცილებელია აღმოჩენილ ნაშთის გამოქვეყნება (რადგან შესაძლებელია იქ ქართველების ქებაც იქმნეს) დანარჩენი ყველა, რაც შეეხება სომხების კულტურას, როგორც „უნდილი მასალა“ უნდა დავფაროთ! რა საჭიროა ისი გადმოლაგება?!

ჯანაშვილი საყვედურებს უცხადებს პრ. მარრს და იმ ქართველებს, რომელთაც პროფესორი იიწვიეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის შესახებ კამათის დროს პეტერბურგში. რისთვის? იმისთვის რომ პრ. მარრს თავის მოხსენებაში საქართველოს ეკლესიისათვის გამოუცვლია ის ოთხი ოძი, რომელზედაც ჩვენი ეკლესია ყრდნო (წმ. ნინო, წმ. ანდრია მოციქული, ივერია—მცხეთა და ვახტანგ გორგასალი იხ. გვ. 77—79). აქაც, რასაკვირველია, ჯან—ლს პრ. მარრის ვრცელი მოხსენებიდან (Прил. къ № 3 „Церк. Вѣдом. за 1907 г., стр. 107—142) ამოუგლეჯია ხუთიოდე ადგილი, რომლიდან მკითხველს არ შეუძლია წარმოდგენაც კი იქონიოს ამ შესანიშნავ მოხსენებაზე. ტექსტის ასეთი დაგლეჯით ყველაფრის დამახინჯება შეიძლება. მაგ., ავიღოთ ცნობილი „უფლის ლოცვა“: ორი სიტყვა თავში, ერთი-შუაში და ერთიც ბოლოში. (მამაო ჩვენო... იყავ... ბოროტისაგან). განა ამაზე მეტი გმობა შეიძლება?! სწორედ ასე ეპყრობა ბ-ნ ჯან. პრ. მარრის ტექსტებს! ადგილი ნებას არ გვაძლევს, დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველს ეს შესანიშნავი მოხსენება—მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე აგებული საქართველოს ეკკლესიის ისტორია... აქ მხოლოდ ვიტყვით, რომ პრ. მარრმა თუ რამე ჩამოაცალა საქ. ეკკლესიას, ეს შეეხება იმ ზღაპრულ თქმულებათ, რომლებიც ასე მოსწონს ბ-ნ ჯანაშვილს და იმდენად გულუბრყვილოა, რომ სჯერა ზღაპრებს რაიმე გავლენა ექმნებოდა, და კამათის დროს რაც მეტს გადმოალაგებდნენ ამ ზღაპრებს, მით უფრო ადვილად მივიღებდით ავტოკეფალიას. პრ. ბუტკევიჩს, გლუბოკოვსკის და ვოსტორგოვს არ მოეწონათ მარრის მოხსენებაო. სასაცილოა, მეტი რომ არა ვსთქვათ ასეთის არგუმენტის მოყვანა მაარრის წინააღმდეგ! განა ვოსტორგოვების მიერ არ მოწონება იმას არ ნიშნავს, რომ მართალ კარგი მოხსენება ყოფილა! და ოუ ეს მოხსენება ვოსტორგოვებთან ერთად არც ჯანაშვილს მოსწონს, ამაზე მხოლოდ ის შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ძლიერ სამწუხარო მოვლენაა!

მე-86 გვ. ბ-ნ ჯან. ეხება პრ. მარრის მიერ წამოყენებულ აზრს ქართულ დაბადების (საღვთო წერილის წიგნები) თარგმანის შესახებ. პრ. მარრს იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული ბიბლია სომხურიდან ნათარგმნია „მოჰყავს მცირედი მასალა, ანუ თუ მართალი გნებავთ, ესა და ის ვითომ სომხური სიტყვა ქართულ ბიბლიაში“ (ibid) ეს ცილის წამებაა. მარრი რომელისამე სიტყვის ქართულ ტექსტში არსებობას არას დროს არ აძლევდა უპირატეს მნიშვნელობას და, თუ სხვა რაიმე უფრო ღრმა საბუთი არ ექმნებოდა, თავის დღეში არ იტყოდა, რომ ესა და ეს ტექსტი სომხურიდან ნათარგმნია. ეს აზრი მარრს ბევრჯერ აქვს გამოთქმული, მაგ., როდესაც იგი არკვევს, რომელი ენიდან უნდა იყოს ნათარგმნი ზემოდასახელებული „ღუაწლნი წმიდათა სამთა და სხვ“... ამბობს: „Несмотря на преобладаніе армянскихъ заимствованій, мы не находимъ основанія для того, чтобы текстъ признать переводомъ непремѣнно съ армянскаго. Въ грузинскомъ переводѣ мы не встрѣчаемъ ни одного явленія въ слогѣ*), которое объяснялось-бы лишь зависимостью отъ армянскаго текста“. (გვ. 304). პრ. მარრი ასეთის საკითხის გადაჭრის დროს შემდეგის აზრისაა: თუ ქართული რომელიმე წიგნი სომხურიდანაა ნათარგმნი, ამას უნდა მოწმობდეს „не единичные факты, а цѣлый

*) იხ. „დროება“ N 44.

28 თებერვალი.

28 თებერვლის კრება დაიწყო ოქმის შესწორებით. იქ ნათქვამი იყო, რომ გადაწყვეტილია ზედმეტ სესხის აღების უფლება გიმნაზიის შენობაზეო. ასეთი რედაქცია კრების თანხმობით შეასწორეს: სესხის აღება უნდა მოხდეს იმ კომისიის თანხმობით, რომელიც წინა დღეს იქმნა არჩეული. დეპუტატთა საკრებულოს დასახმარებლად და იმ შემთხვევაში, თუ სესხის აღებას ეს კომისია საჭიროდ დაინახავს.

ამის შემდეგ სიტყვა ითხოვა თავ. იასონ გელოვანმა. თავ. გელოვანმა დალაგებული და კარგი ქართული ლაპარაკი იცის. მე ჩემდა თავად დიდის სიამოვნებით ვისმენ ხოლმე იმის სიტყვას, მაგრამ, გულ-ახდილად უნდა ვსთქვა, 28 თებერვლის იმის ნალაპარაკევიდან ვერა გავიგე-რა. ილაპარაკა გარდაცვალებულ თავ. ნ. მინგრელსკიზე, იმის ქველობაზე და იმ კავშირზე, რომელიც არსებობდა საზოგადოებასა და მას შორის. ამ თავადის მემკვიდრის გადაგვარებაზე, ქართველებისაგან დაშორებაზე და იმითი დაამთავრა, რომ მინგრელსკის მამულზე დარჩენილი გადასახადი უნდა აიღოთო. ვერც ის გავიგე, რა აზრით ითხოვდა, რომ საადგილ-მამულო ბანკს გადახდომოდა იმ ფულის სარგებელი, რომელსაც ეწოდება ძირითადი თანხა და რომელიც თავადაზნაურობას ეკუთვნის. ნუ თუ თავ. გელოვანს ჰგონია, რომ ბანკი შიოს მარანია? მესამე წინადადება თავ. გელოვანისა, რომ სამეგრელოს თავადაზნაურთა მიერ ხაზინაში შეტანილ ფულის გადანარჩენი დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურობას დაუბრუნდესო, ადვილი გასაგებია. თუ ხსოვნა არა გვღალატობს, ამ ფულის დაბრუნებაზე 2 თუ 3 წლის წინად აღიძრა შუამდგომლობა.

დამთავრდა ყველა საქმე. სიტყვა მიეცა გამომძიებელ კომისიის წევრს თავ. სოლ. მიქელაძეს, რომელმაც განაცხადა: კომისიამ საქმე გაიცნო; 24 და 25 ნოემბრის ოქმებში მოთავსებულმა საბუთებმა და მარშლებისა და დეპუტატების გამოკითხვამ საკმაო ნათელი მოჰფინა ალშიბაია ნიჟარაძის ინციდენტსა, თუმცა უმჯობესი იქნება, საქმე გადაიდოს, რომ იგი სავსებით გამოვიკვლიოთო.

ასეთმა ორპოფულმა განცხადებამ ფრთები შეასხა კრების ერთ ნაწილს, რომელიც დაჟინებით იძახდა: გადავდოთ, გადავდოთო.

კიტა აბაშიძე. ამ საკითხის გამოკვლევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევ. ის, რაც ჩვენ მოვისმინეთ ორი მაზრის წარმომადგენლისაგან, აშკარად ამტკიცებს, რომ ჩვენ მიერ არჩეული კაცები აღარ ერიდებიან, ლანდი თვით-მმართველობისა, რომელიც თავად-აზნაურობას აქვს მინიჭებული, გადალახონ და ჩვენი უფლება სხვის ფეხის სათელად გაჰხადონ. გამოირკვა, რომ ის, რაც დეპუტატთა საკრებულოში ხდებოდა, გუბერნატორს შეატყობინეს ზუგდიდისა და ქუთაის მარშლებმა, როცა საჭიროება აძას არ მოითხოვდა. ამნაირივე საქმე მოხდა შარშან, როცა 25 კაცის ნალაპარაკევი ჩვენ საჭირბოროტო საქმეებზე, ჩვენს კანონიერ უფლებებზე, ჩვენმავე წარმომადგენლებმა, ან თვით კრების რომელმამე წევრმა გუბერნატორს აცნობეს, რამაც გამოიწვია ყველასათვის ცნობილი მზომები... (თავჯდომარე ზარს რეკავს). ამნაირი მოქმედება ჩვენი წარმომადგენელისა, გინდა საზოგადოების წევრისა, ჩვენი უფლების დამცირება და აბუჩად აგდებაა. ასეთ კაცებს ჩვენი წარმომადგენელის სახელს ვერ ვუწოდებთ, და ამიტომ უნდა გავიგოთ, ვინ გადალახა ჩვენი უფლება, ვინ დასწამა ცილი ჩვენს ხალხს...

თავ. დ. ო. ნიჟარაძე. გუშინ, ჩემის თავმჯდომარეობით შეუძლებელი იყო ამ საკითხის განხილვა. კრების გათავებისათანავე მივმართე თავ. ს. მიქელაძე და ვთხოვე, კომისიას თავისი მოხსენება სადღეისოდ ეცნობებინა კრებისათვის. საქმე, რომელმაც ამდენი ალიაქოთი გამოიწვია, გუბერნიის წინამძღოლს არ უნდოდა კრებას მოხსენებოდა. იგი მოხსენდა კრებას ჩემის თხოვნით, მაგრამ მე წარმოდგენილი არა მქონდა, რომ ჩემი მოწიწაღმდეგენი პარტიულ იარაღად გაიხდიდნენ ჩემსა და ალშიბაიას შორის მომხდარ ინციდენტს და ცილს დამწამებდნენ, ვითომ მე ხალხის უფლებას ვამცირებდე, აირჩიეთ, ბატონებო, კომისია და მე საბუთებით დაგიმტკიცებთ, რომ ჩემს მოღვაწეობაში მარტო ერთი აზრი მამოქმედებდა: არა თუ არსებული უფლება შემელახა, არამედ იგი გამეფართოვებინა. თუ კომისიას არ აირჩევთ, პრესის საშუალებით დავამტკიცებ, რომ ხალხის კეთილდღეობით ვხელმძღვანელობდი ჩემს მოღვაწეობაში.

დავით კლდიაშვილი. ბატონებო, თავ. ს. მიქელაძემ სთქვა, რომ საკმაო მასალა შევკრიბეთ და საქმე გამორკვეულიაო. ჩვენ მოვალენი ვართ მოვისმინოთ კომისიის მოხსენება.

ამ სიტყვების შემდეგ თავ. ს. მიქელაძემ ითხოვა კრების მცირე ხნით შეწყვეტა: კომისიის სხვა წევრებს მოველაპარაკები და მერე გაგაცნობთ მოხსენებასაო.

კრება შესწყდა. გარახლების შემდეგ თავ. მიქელაძემ კომისიის სახელით აუწყა კრებას, რომ საქმე სავსებით გამორკვეულად არ მიგვაჩნია, ხოლო მისი ნაწილ-ნაწილ განხილვა უხერხულიაო.

ამრიგად, საქმე გადაფუჩეჩდა, როგორც აკაკიმა ბრძანა.

ამით გათავდა ეს კეკე-მალულობა და შეუდგნენ არჩევნებს. პირველად კრების წევრნი მაზრებად დაიყვნენ და ყუთები დაუდგეს მაზრის წინამძღოლებს, მათ კანდიდატებს და თანაშემწეებს. ამ წერილს რომ ვწერ გამორკვეული არ არის დაწვრილებითი ცნობები არჩევნების შესახებ, ვიცით მხოლოდ, რომ ყოფილი წინამძღოლები მაზრებისა დიდის ხმის უმეტესობით იქმნენ არჩეულნი: ქუთაისის მაზრაში—თ-დი დ. ო. ნიჟარაძე, რაჭისაში—ექიმი დავით ჯაფარიძე, სენაკისაში—თავ. ნ. ნ. დადიანი, შორაპნისაში—თავ. ა. წერეთელი, ოზურგეთისაში—თავ. ვ. დ. ერისთავი, ლეჩხუმისაში—თავ. იასონ გელოვანი. რაც შეეხება ზუგდიდის მაზრას, რომლის ძველი წინამძღოლიც არჩევნებამდის გადადგა სამსახურიდან, იქ კანდიდატებად აირჩიეს ერთხმად თავ. ი. ვ. აფაქიძე და თავ. გ. კ. დადიანი და 10 ხმით წინააღმდეგ 4 ხმისა დ. რ. ჟვანია.

გუბერნიის თავ.-აზნაურთა წინამძღოლის და საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა არჩევნები გადაიდო მეორე დღისთვის.

ერთმა შორაპნელმა ამომრჩეველმა დღეს შემდეგი იოხუჯა: შორაპნის მაზრის ცენზიანმა აზნაურებმა ბანკის რწმუნებულთა კანდიდატების სია შეადგინეს და 20 კანდიდატში 18 წერეთელია და ორი „ინოროდეციო“. რამდენად მართალია ეს ოხუჯობა, არ ვიცი. ეს-კია, რომ შორაპნის მაზრაში ცენზიან თავ-აზნაურებში წერეთლები სჭარბობენ.

ახალი ამბავი

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ქუთაის-სამტრედიის გზა.** ინჟენრებს პ. ალხაზოვს და ტ. ნალბანდოვს და ტეხნიკოსს ი. ბოგოლიუბოვს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავთ, ნება დართოს ქუთაისსა, ხონსა და სამტრედიას შუა ელექტრონის გზა გაიყვანონ. კონცესიონერები მთავრობას გარანტიას და დახმარებას არა სთხოვენ. კონცესიონერებმა გზით 60 წელიწადი უნდა ისარგებლონ, შემდეგ იგი სრულიად უსასყიდლოდ ერობას გადასცენ. რკინის გზა უნდა გაიყვანონ აწ არსებულ გზებზედ, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეტლებისა და ურმების სასიარულოდ სამი საჟენის სიგანე გზა უნდა დასტოვონ. რკინის გზის სიგრძე 44 ვერსი იქნება. კონცესიონერები გზებით უსასყიდლოდ არ ისარგებლებენ და ყოველ წლივ ერობას 4,400 მანეთს მისცემენ. გუბერნატორს სასარგებლოდ უცვნია ამ რკინის გზის გაყვანა და გადაუწყვეტია ნამესტნიკს წარუდგინოს შუამდგომლობა.

✦ **ტფ. ქალაქის საბჭო.** ქალაქის საბჭოს სხდომას 1 მარტს 40 ხმოსანი დაესწრო. საბჭომ წვრილმან საქმეთაგან განიხილა მოხსენება ქალაქის სკოლების გალობის მასწავლებელთათვის ჯამაგირის მომატების შესახებ. გამგეობის დადგენილებით, გალობის მასწავლებლებს უნდა მოემატოთ ხუთ-ხუთი მან. საბჭომ საჭიროდ სცნო მოხსენების შევსება და დაადგინა, იგი ხელახლად სასკოლო კომისიას გადაეცეს. დამფასებელ კომისიის არჩევა ორის კვირით გადაიდო. გამგეობამ ისარგებლა 40 ხმოსნის დასწრებით და საბჭოს წარუდგინა მოხსენება მუხრანის ხიდთან მოედნის გასაფართოვებლად ეჩმიაძინის მონასტრის ადგილის (180 ოთხკ. საჟ.) შეძენის შესახებ. ხმოსნებს დაუთვალიერებიათ ეს ადგილი. ხმოსნების უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ ადგილს ნუ გაუცვლიან მონასტერს და თუ იგი დასთანხმდა, იყიდოს ქალაქმა. საბჭომ დაადგინა, შეაძლიონ 180 ოთხკ. საჟენში ეჩმიაძინის მონასტერს 25 ათასი მან. დასასრულ საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება ავლაბარში ნიეგოროდის დრაგუნთა პოლკის ყაზარმისთვის 4933 ოთხკ. საჟ. მიწის გაყიდვის შესახებ. ამ ადგილში სამხედრო უწყება ქალაქს 1 მ. 75 კ. (საჟენში) მეტს არ აძლევს. საბჭომ მიიღო სახელში ის გარემოება, რომ ნავთლულში მიწის ფასმა შესანიშნავად აიწია და [illegible], საჟენი ათ მანეთზე ნაკლებ არ დაუთმოს. გამგეობას სხვა საქმეებიც უნდოდა წარედგინა საბჭოსთვის, მაგრამ კანონიერი რიცხვი აღარ აღმოჩნდა და სხდომა შესწყდა.

✦ **სამკითხველო.** 26 თებერვალს გურიაში, სოფელ ქვემო სურებში გაიხსნა საჯარო ბიბლიოთეკა-სამკითხველო წ.-კ. საზოგადოებისა. სამკითხველო გაიხსნა იაკობ გოგებაშვილის სახელობაზე. სამკითხველოს გამგე რამიშვილია.

✦ **მკვლელობა.** 22 თებერვალს, ღამის 10 საათზედ, ქალაქ სოხუმში მოუკლავთ სოხუმის ქალაქის თვითმართველობის ხმოსანი ვაჭარი თურქია. თურქიასთვის უცნობს ზურგში ესროლია რევოლვერი. თურქიას სულ რამდენიმე საათი უცოცხლია და სიკვდილის წინ განუცხადებია, სოფ. საბერიოს მცხოვრებმა დზოკოთ ჩხოტუამ მომკლაო. ჩხოტუა დაუპატიმრებიათ.

✦ **გრადონაჩალნიკი და ექიმი.** ამას წინად ბაქოში, სადგურის მახლობლად, ბაბაევის სახლში რაღაც აფეთქებულა. სახლს ცეცხლი გასჩენია და მძიმედ დაშავებულა ფერშლის ტელიჩენკოს ოთხი შვილი. ცეცხლზე, სხვათა შორის, მისულა ბაქოს გრადონაჩალნიკი მარტინოვი. გრადონაჩალნიკს კაცი გაუგზავნია ექიმ ლისისთვის, რაც შეიძლება ჩქარა მოდით და დაშავებულებს დახმარება აღმოუჩინეთო. კაცისთვის უთქვამთ, ექიმი სხვაგან წავიდაო. მაშინ ლისისთან თვით გრადონაჩალნიკი წასულა და თან „კასპი“-სა და „ბაკუ“-ს თანამშრომლები წაუყვანია. როდესაც გრადონაჩალნიკი მისულა, აივანზე გამოსულა ლისის ცოლი და უთქვამს, ჩემი ქმარი სახლში არ არისო. მარტინოვს რამდენჯერმე მოუთხოვნია კარის გაღება, მაგრამ ცოლს უარი უთქვამს. მაშინ ძალად შესულა და საწოლ ოთახში უნახავს ექიმი.

— ექიმო, წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ ჩაიცვათ და გამომყვეთ.

— ავადა ვარ და კარში გასვლა არ შემიძლიან, — განუცხადებია ექიმს.

— საქმეს იქამდის მიიყვანთ, რომ ექიმებს დავიბარებ და შეგამოწმებინებთ, მართლა ავადა ხართ თუ სტყუითო.

— მე რკინის გზის ექიმი ვარ და თქვენ უფლება არა გაქვთ, რკინის გზის გარეშე წამიყვანოთ სადმე. თუ ჟანდარმთა განყოფილების უფროსი პოდპოლკოვნიკი არმამეტიევი ნებას არ დამრთავს, ისე წამოსვლა არ შემიძლიან.

გრადონაჩალნიკი ტელეფონით შეჰკითხებია ჟანდარმთა განყოფილებაში და იქიდან უთქვამთ, რომ ექიმს შეუძლიან წამოსვლაო. მაგრამ ექიმი ამის შემდეგაც უარზე დამდგარა. მამინ გრადონაჩალნიკს უბნის ზედამხედველისთვის უბრძანებია, რომ ძალით წაეყვანა ექიმი. რაკი ექიმს დაუნახავს, რომ აღარ ეხუმრებოდნენ, ჩაუცვამს და გაჰყოლია უბნის ზედამხედველს. გრადონაჩალნიკს უბნის ზედამხედველისთვის უბრძანებია, ექიმი დანიშნულ ადგილზე მიიყვანე და დახმარების აღმოჩენის შემდეგ გაუშვიო. ექიმი იმ დროს მისულა, როცა დაშავებულები საავადმყოფოში უკვე წაეყვანათ.

✦ **გასამრჯელო.** პროფესორ არტემიევს გასამრჯელოდ საელექტრონო სადგურის შესახებ მოხსენებისათვის ქალაქის გამგეობამ მისცა 500 მანეთი. არტემიევი უკვე დაბრუნდა კიევში.

✦ **კრება.** დღეს, 3 მარტს, საღამოსთვის დანიშნულია საზოგადო კრება კავკ. სამკურნალო საზოგადოებისა მიმდინარე საქმეების განსახილველად.

✦ **„ფეიქრები“ ჰერ. ჰაუპტმანისა.** რედაქციამ მიიღო „ახალი თეატრი“-ს მიერ გამოცემული ჰერგარდტ ჰაუპტმანის შესანიშნავი პიესს „ფეიქრები“, ქართულად ნათარგმნი აწ უკვე განსვენებულ ივ. ახალშენიშვილის მიერ. წიგნში მოთავსებულია პ. კოგანის კრიტიკული განხილვა და ჰაუპტმანის სურათი. წიგნი შეიცავს 160 გვერდს და ღირს ათ შაურად.

✦ **უყურადღებობა.** ალავერდის ქუჩაზე ქუთაისის ბანკს აქვს ერთი სახლი, რომლის გამგეთაც ლევან ჟორდანიაა. ამ გამგემ პოლიციას გამოუცხადა, რომ რამდენიმე დღის წინად ვიღაც ბოროტ მომქმედებმა ბანკის სახლს 6 ფანჯარა ჩამოაცალესო. საზოგადოდ ორი თვის განმავლობაში აღნიშნულ სახლისთვის ჩამოუცლიათ ფანჯრები, კარებები, სხვა ნივთები და მასალა, სულ 500 მანეთისა. 27 თებერვალს შუაბაზარში ჟორდანიას ჩვენებით პოლიციას დაუპატიმრებია მარტყოფის მცხოვრები ესტატე მღებრიშვილი და ბორჩალოელი სარქის ზადოევი, რომელთაც სახლის ნივთები აღმოაჩნდათ. დაპატიმრებულნი გამოტყდნენ. ქურდის პოკნა კარგია, მაგრამ მხოლოდ ქართველს შეუძლიან ასე უყურადღებოდ დატოვება ქონებისა: ორი თვის განმავლობაში ისე იპარავენ ფანჯრებსა და კარებს, თითქოს თხილი იყოს...

✦ **ჟურნალისტთა კრება.** ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების კრების გაგრძელება დაინიშნა შაბათს, 6 მარტისთვის, საბჭოს დარბაზში. ამ საღამოს კრება აირჩევს სასამართლოს წევრებს „პრესის სინდიკატის“ საქმის განსახილველად.

✦ **ქსენონი.** ბაღდადის საზოგადოებაში (ქუთაის მაზრა) ხსნიან სასოფლო ქსენონს. საზოგადოებას უკვე ჰქონია თანბირი ქსენონისთვის საკუთარ შენობის აგების შესახებ და გადაუწყვეტია შენობის ასაგებად გადასდოს 12,000 მან.

✦ **ბავშვის თვითმკვლელობა.** 11 თებერვალს სოფ. ოკუმში (სოხუმის ოლქში) თავი ჩამოუხრჩვია 14 წლის ბავშვს მიხეილ ჯუგუბურიას. ბავშვი სოფლის სკოლიდან დაუთხოვნიათ. სახლში პატარა და დაჰხვედრია, რომლისთვისაც ყველაფერი შეუჩივლია. ბავშვს დედ-მამისა ეშინოდა თურმე. სკოლიდან დათხოვეს და არა მცოდნია. მეორე თოკი ჩამოუბავთ და თავის პატარა დის თვალ-წინ თავი ჩამოუხრჩვია. (კ.)

✦ **ოსანას განაღდება.** „ბ-ნ ტფილისში ჩამოვიდა ბულგარეთის ბანკის ნაირად ბანკის“ წარმომადგენელი, [illegible] თავისი პირობები უნდა წარუდგინოს ქალაქის გამგეობას მეოთხე საობლიგაციო სესხის განაღდების შესახებ. გუშინ აღნიშნულ წარმომადგენელის თანადასწრებით მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიისა.

✦ **ქალაქის სასკოლო კომისიამ** დადგინა, ქალაქის პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლენი დათხოვნილ იქმნენ ენების კვირაში სასიარულოდ. მასწავლებლებმა საერთო განცხადება შეიტანეს კომისიაში და აცნობეს, რადგან მასწავლეთათვის ენების კვირაში სასიარულოდ სიარული ძნელი იქნება, ამიტომ გაადვილეთ მასწავლენი მარხვის პირველ კვირაში დაგვთხოვა და კიდეც შეგვსრულეთ ჩვენი დადგენილება.

✦ 1 მარტს ტფილისში შემდეგი ამბები მოხდა: ავჭალის ქუჩაზე დაუპატიმრეს ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული და ნება დაურთველად დაბრუნებული მიხეილ ბაიდაროვი. ამავე დღეს დაუპატიმრეს ქართლის მცხოვრები იასონ თედოვეი და ბოტა. ამათზე ეჭვი მიიტანეს, რომ მათ ნივთები მოიპარეს ავჭალის ქუჩ. მც. ფარანასოვის სახლიდან, 28 თებერვალს ყუკოვის ქუჩაზე ქურდი შეჰპარვია თეოფილე დუმინიკას და წაუღია 50 მანეთის ნივთები. ეჭვით დაუპატიმრეს მოსამსახურე ქალი ტატიანა გორინა. 1 მარტს რაისა კევლიშვილისამ ავჭალის ქუჩ. საკუთარ ბინაზე ძმრის ესენცია დალია. კევლიშვილისა გრძნობა დაკარგული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. მიზეზი თავის მოკვლისა, პოლიციის ცნობით ოჯახური უსიამოვნებაა. ავლაბარში დაუპატიმრეს არშაკ კურმუტა და აჰირაპეტ-პეტრუსოვი, რომელთაც დაბრალდათ მედროგე გაბრიელ ბოზეევის ცხენის მოპარვა. ვარაზის ხევში უადგილოდ დარჩენილმა ივანე რომანოვმა რაღაც საწამლავი დალია. ვორონცოვის ძეგლთან ტრამვაის ვაგონში მჯდომ მღ. კონსტანტინოვისთვის ჯიბგირს ალ. მოსესიანცს უნდოდა ფული ამოეცალა კონსტანტინოვი დაუპატიმრეს. ბაგრატიონის ქუჩაზე ნოქარმა გრიგოლ გულიევმა, დავით ბატიევის მაღაზიაში მომუშავემ, პოლიციას გამოუცხადა, რომ 1 მარტს ვიღაც ბოროტ განმზრახველმა გასტეხა ბატიევის მაღაზია და გაიტანა 1000 მანეთი ნივთებიო, ვორონცოვის ქუჩაზე დაუპატიმრეს ყაზახის მაზრის მცხოვრები კარარა აბაზოვი, რომელსაც აღმოაჩნდა ყალბი სამ მანეთიანი. აბაზოვი პასუხის გებაში მისცეს.

მოღვაწილი ამბები

ქიზიყი. თებერვალმა კუდი გამოიქნია. მხოლოდ ეხდა მოგონდა ხალხს თავისავე თქმულება: თებერვალ-მარტი რომ წინ გედის ზამთარს ხურტ აქებ, ნურტ აძაგებო. რამდენიმე დღე გახუწულ-ტფილ თოვდა. ცოტა ადგილ, სამაგალითოდ მოსავლისათვის, ხეხილისათვისაც ასეთი ამინდი საკმაოა. მოსავლისათვის იმისათვის, რომ სიმშრალეზე ადაგ-ადაგ თაგვი გაჩნდა და გაზაფხულზე კალიის კვერცხის გადვიძებისაც ეშინოდათ. ხეხილისათვის—უდროოდ არ გამოიტეტეს ეკვალ და არ დაძროს. სიცივე-ადარზე თაგვიც მიდგება... X.

—

სამტრედია. დ. სამტრედიაძდიერ ჩქარის ნაბიჯით მიიწევს წინ. ამ დღეებში კაზეთებმა გვაცნობეს, რომ სამტრედიას მალე დასამტკიცებენ პოსადათო, მაგრამ ჩვენ ეშმი გვეშარება, როგორც ეოგედთვის, რომ ეს მალე ერთი ორი წელიწადი მაინც იქნება. ადგილობრივი განეოფილება ფოსტისა მერ აკმაყოფილებს იმ მოზდვაებულ საქმეებს, რომელიც მან უნდა აწარმოოს. საზოგადოება შეუგნებლობით ეგედაფერს ადგილობრივ ფოსტის უფროს და იმის მოხელეს აბრალებენ, მაგრამ ეს ასე არ არის ნამდვილად, ფოსტას არა ჩვენთვის ეხლანდელი შტატი მოხელეებისა. ეს ამ რამდენიმე დღის წინად ადგილობრივ დეპუტატებმა ალნუსხეს თხოვნაში სათანადო მოაურობასთან, მაგრამ, როგორც გავიგე უარი მოსვლია კრუნი.

рядъ характерныхъ явленій, именно, армянскія формы собственныхъ именъ, многочисленныя армянскія слова, цѣликомъ перенесенныя изъ армянскаго текста, армянскіе обороты рѣчи и конечно, воспроизведеніе армянскихъ варіантовъ“ (Ж. М. Н. Пр., марта 1899 г., стр. 13.)

აი, პროფესორის აზრით მინიმუმი იმ დამახასიათებელ ნიშნებისა, რომელიც აუცილებლად ხელში უნდა გვქონდეს, როდესაც რომელსამე ქართულ ტექსტის სომხურიდან გადმოთარგმნას ვამტკიცებთ. ჯანაშვილიც ვითომ ხელმძღვანელობს ტექსტის მეცნიერულ კრიტიკის მოთხოვნილებით და ადარებს ქართულისა, სომხურისა და ბერძნულის წიგნებიდან ამოღებულ ალაგს. გამოტეხილად უნდა ვსთქვათ, რომ დიდი კადნიერებაა ჯანაშვილის მხრით ასეთ საპასუხისმგებლო და ძნელ საკითხის თავსდება. საკმარისი არაა რომლისამე ენის ანბანის გარჩევა, რომ შენი თავი ამ ენის მცოდნეთ გამოაცხადო და ტექსტების კრიტიკულ შედარებას ხელი წაუპოტინო. ერთი ადგილი აქვს მოყვანილი სომხურიდან და ისიც შეცდომებით: „აკანგ“—„აკანდის“ მაგიერ, „ზგერანგ“—„ზგერანდ“-ის მაგიერ. ბ-ნ ჯანაშვილს ნუ ავიწყდება ბრძნული თქმულება: „რად სწევ მას მშვილდსა, რომელი არ ძალგიძს მოსაწევადა!“

ბ-ნი ჯან. სწვდა თავის „კრიტიკით“ ისეთ სპეციალურ საგანს, როგორც ენათ მეცნიერებაა. პრ. მარრის უმთავრესს შრომად ითვლება მისი ახალი თეორია ქართულ ენის სემურ ენებთან ნათესაობის შესახებ. უმთავრესი შრომა—ძველი ქართული ენის გრამატიკა, სადაც დასაბუთებული იქნება ახალი თეორია, ჯერ დაბეჭდილი არ არის. გამოვიდა მხოლოდ „Основныя таблицы къ грамматикѣ древне-грузинскаго языка съ предварительнымъ сообщеніемъ о родствѣ грузынскаго языка съ семитическими“. Петербургъ, 1908 г. ამ წიგნში მოკლეთ გადმოცემულია ახალი თეორიის დედა-აზრი და მისი დასაბუთება. ამ შრომას „არჩევს“ ბ-ნი ჯანაშვილი (გვ. 88). აქაც, რსაკვირველია, ჩვეულებრივ ცილისწამებით იწყებს: „მარრი ჯერ მგონი სტუდენტი იყო, რომ გამოაცხადა, ქართული ენა სემიტურიაო“. მარრს არც სტუდენტობის დროს და არც შემდეგ ამისი მსგავსი არაფერი არ უთქვამს. ის ქართული ენის სემურ ენებთან მხოლოდ ნათესაობას ამტკიცებს და არა იმის „სემიტურობას“. ყველგან, სადაც-კი ამ საგანზე აქვს ლაპარაკი, ის დაბეჯითებით იმეორებს, რომ ქართული და მისი მონათესავე ენები სემური არ არიან და ამიტომაცაა, რომ ამ ენათა შტოს სემურ შტოდან გასარჩევად „იაფეტური“ უწოდა. პირველად ეს აზრი მარრმა გამოსთქვა 1888 წ. თავის სტატიაში „ბუნება და თვისება ქართულისა ენისა“ („ივერია“ 86); შემდეგ 1897 წ. ამ საგნის შესახებ ის ამბობს, რომ ქართული და სემური მონათესავენი არიან და შემდეგ დასძენს: „Это еще не значитъ, чтобы мы признавали грузинскій языкъ семитическимъ. Грузинскій языкъ вмѣстѣ съ нѣкоторымъ другими кавказскими составляютъ одну группу, а семитическіе—другую, и мы будемъ установливать лишь родство между языками первой группы, на первыхъ порахъ наиболѣе древнимъ и чистымъ (менѣе подвергшимся аріизованію) изъ нихъ—грузинскимъ съ семитическими. Потому назвать грузинскій языкъ семитическимъ было-бы также неправильно, какъ, напримѣръ, если бы кто назвалъ русскій языкъ—германскимъ по тому, что славянскіе языки находятся въ родствѣ съ германскими.“ (Ж. М. Н. Пр. мартъ 1897 г.)

1908 წ. ზემოხსენებულ „Основныя таблицы-ის მე-7-8 გვ.: „Само собой понятно, что въ грузинскомъ языкѣ много и очень много такого, что удаляетъ его отъ семитическихъ. Потому то и нельзя считать его семитическимъ“. გაიგეთ, ბ-ნო ჯანაშვილო? ჯანაშვილის მთელი კრიტიკა აგებულია ერთს უმთავრეს მეთოდოლოგიურ შეცდომაზე: იმის აზრით ორი სხვა და სხვა ენის იმ სიტყვებს მეტი მონათესაობა აქვთ ერთმანეთში, რომელნიც გერეგანი ფორმით ძლიერ წააგავენ ერთმანეთს. ენათ მეცნიერებაში კი კარგა ხანია, რაც აქსიომად მიღებულია, რომ თუ სხვადასხვა ენებში სიტყვები ძლიერ წააგავს ერთმანეთს, ამ შემთხვევაში თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთ ენას მეორესაგან უსესხნია ესა თუ ისე სიტყვა და მაშინ მათ ნათესაობაზე ლაპაარაკიც მეტია. მონათესავე ენების სიტყვები კი გარეგნულად ერთი მეორეს ხშირად სრულებით არ წააგავს და რომ მათი ნათესაობა თვალსაჩინო იქმნეს, საჭიროა მონათესავე ენების ფონეტიკის ისტორიულ განვითარების ზედმიწევნით ცოდნა, თუ როგორ ერთი ბგერა მეორეთ იცვლება და სხვა. მარრი სწორედ იმას ამტკიცებს, რომ ქართული ენა სემურ ენების მონათესავეა, რომ აქაც და იქაც საერთო ძირებია და არა იმას, თუ ქართულმა რა სიტყვები ისესხა სემურ ენებიდან. ბ-ნმა ჯან—მა ენათ მეცნიერების ეს ანბანური ეშმარიტება არ იცის და მე-20 საუკუნეში მე-17 საუკუნის მეთოდებით გამოდის და რიხით ლაპარაკობს ერთი ენის მეორესთან ნათესაობაზე და დამოკიდებულებაზე.

ი. ყიფშიძე, ვუკ. ბერიძე.

პეტერბურგი.

(დასასრული იქნება)

ბოროტი სული

ამ ჟამად იტალიის ქალაქ ვენეციაში ირჩევა ერთი საქმე, რომელმაც მთელი დედამიწის ყურადღება მიიქცია. ვენეცია სავსეა კორესპონდენტებით. ევროპა-ამერიკაში არ დარჩენილა ცოტად თუ ბევრად შეძლებული გაზეთი, რომ კორესპონდენტი არ გაეგზავნოს. გაზეთის ფურცლები სავსეა ამ საქმის შესახებ ცნობებით. კორესპონდენტებს გარდა ვენეციაში თავი მოიყარა მრავალმა ცნობის-მოყვარემ, სხვა და სხვა სახელმწიფოდან მოსულმა.

დეპეშები ყოველ-დღე გვაწვდიან ცნობებს, ასე რომ ცოტად თუ ბევრად ჩვენმა მკითხველებმაც იციან ამ საქმის ვითარება. იგი შეეხება მარიამ ტარნოვსკისას.

ტარნოვსკისა კიეველია, იქაურ მაღალ საზოგადოების შვილი. მამა მისი, გრაფი ორურკი, დღესაც ცოცხალია.

3 სექტემბერს 1907 წელს ვენეციაში რუსმა ნიკოლოზ ნაუმოვმა მოჰკლა გრაფი პავლე კომაროვსკი. ამ მკვლელობამ დიდი სენსაცია მოახდინა ვენეციაში. შეუდგენენ ფიცხელ გამოძიებას. ნაუმოვის ჩვენებიდან გამოდიოდა, რომ მკვლელობა რომანტიულ ნიადაგზე უნდა მომხდარიყო. ამ დრამის გმირად მაშინვე ასახელებდნენ მარიამ ტარნოვსკისას.

8 ენკენისთვეს დაატუსაღეს ვენაში მარიამ ტარნოვსკისა, მისი მოსამსახურე ქალი პერრე გადაიყვანეს ვენეციაში. ასევე უყვეს მოსკოველ ნაფიც ვექილს პრილუკოვს. აქ გამოირკვა, რომ ეს მკვლელობა მოხდა ანგარიშით, რომ ნაუმოვის უმთავრესი შთამგონებელი იყო მარიამ ტარნოვსკისა, რომელმაც ყველაფერი გამოიანგარიშა, განსაჯა და თავის ბიწიერ გრძნობათა დასაკმაყოფილებლად გაგზავნა გულწრფელად შეყვარებული ნაუმოვი და მოაკვლევინა გრაფი კამაროვსკი.

მარიამ ტარნოვსკისამ გაათავა კიევის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი. მისი სილამაზით ყველა მოხიბლული იყო. თვრამეტი წლისა იგი გათხოვდა ვასილ ტარნოვსკიზე. იმათ დაიწყეს მხიარული ცხოვრება კიევში. ორი წლის განმავლობაში მარტო მოდებზე ტარნოვსკისამ დახარჯა 30,000 მანეთი. ქმარმა ჩქარა დაიწყო ქეიფი და სმა და არც ლამაზი ცოლი ჩამორჩა უკან. ბევრი რომანიული ისტორია გაიარა და ამ სიყვარულის ქარიშხალში მან იპოვა თავისი სფერა. მაგრამ სიყვარულში იგი ნამდვილი მტარვალი იყო. ამბობენ, რომ ისა სცხოვრობდა თავისს მაზლთან—პეტრე ტარნოვსკისთან. იმან ჩაუნერგა მას გულში თავის მოკვლა რომ მამის სამკვიდრო სულ ქმარს დარჩენოდა. რამდენჯერმე მოინდომა ქმრის სიკვდილი ჰღალატობდა რა მას, იგი ფიქრობდა, რომ ქმარს დუელში გამოეწვია ყოველი მისი საყვარელი. დამტკიცებულია, რომ საყვარლები ბლომადა ჰყავდა. გრაფი კომაროვსკი, ნაუმოვი, პრილუკოვი, ტოლსტოი, სტალი, ბორჟევსკი, ზოლოტარიოვი, თავ. ტრუბეცკოი, სობოლევსკი, კანდიბა, და გრაფი ლედოხოვსკი და მრავალი სხვა. ყველა ამათ ტარნოვსკი ისეთისავე სიმკაცრით ექცეოდა, როგორც ქმარს. იმათგან ამ ლამაზმა არსებამ ზოლოტარევის საცხოვრებელი სულ გაფლანგა, ტოლსტოისა და ტრუბეცკოის თავის მოკვლა გააზრახვინა, სტალი იმის გამო მოკვდა და იმის გულისთვისვე მოჰკლეს ბორჟოვსკი. ეს უკანასკნელი მოჰკლა ტარნოვსკიმ, მარიამ ტარნოვსკის ქმარმა, რადგან ცოლმა მიიყვანა იგი იქამდის იმ აზრით, რომ ციმბირში გაეგზავნინებინა, მაგრამ ტარნოვსკი გაამართლეს.

ცოლ-ქმარმა გაყრა მოინდომა და ცოლმა თავისი საქმე მიანდო მოსკოველ ვექილს პრილუკოვს, რომლის საყვარელიც ჩქარა შეიქმნა. პრილუკოვმა დასტოვა პრაქტიკა, გაეყარა ცოლს, დასტოვა ბავშვები, გაიტაცა კლიენტების 80,000 მანეთი და ჭარიამ ტარნოვსკისთან ერთად საზღვარ-გარედ წავიდა. მაგრამ ჩქარა დახარჯა ეს ფული ტარნოვსკისამ, და აი აქ მოაგონდა ქალს მდიდარი თავისი თაყვანისმცემელი გრაფი კომაროვსკი. პრილუკოვმა და ტარნოვსკიმ შეადგინეს გეგმა და იმდენი მოახერხეს, რომ გრაფი დაინიშნა ტარნოვსკისაზე. ტარნოვსკისამ ისიც მოახერხა, რომ გრაფ კომაროვსკის დაეწერინა ანდერძი, რომლითაც მთელ თავის სარჩო-საბადებელს იმას უმტკიცებდა და ამას გარდა თავიც დაიზღვევა, 500,000 ფრანკად, რაც უნდა ტარნოვსკისასვე მიეღო იმის სიკვდილის შემდეგ. სულ ერთი იყო, რითაც უნდა მომკვდარიყო გრაფი. კომაროვსკი, სიყვარულით გაბრუებული, ვერაფერსა ჰხედავდა. ტარნოვსკაია კი ამავე დროს პრილუკოვს ეხვეწებოდა, როგორმე გაენთავისუფლებინა და დაეხსნა გრაფისაგან. პრილუკოვს უნდა, მოეწამლა გრაფი პაპიროსებით ან მოეკლა რევოლვერით, მაგრამ ქალი არ დასთანხმდა, შეიძლება მეც ჩამითრიონ საქმეში, რადგან ყველამ იცის ჩვენი დაახლოვებაო.

სწორედ ამ დროს ახალგაზდა ნაუმოვმა გამოუცხადა ტარნოვსკისას სიყვარული. ტარნოვსკისამ ისარგებლა ამითი და გააღვივა ყმაწვილკაცში შურის-ძიება გრაფისადმი. მუდამ დღე ჩასჩჩინებდა, გრაფი კომაროვსკი მტანჯავს, შეურაცხყოფას მაყენებს და შენ მართლა გიყვარკარ, უნდა მოჰკლა და სამაგიერო გადაუხადო. ნაუმოვმა მოჰკლა კამაროვსკი და მხოლოდ მერე მიჰხვდა, რომ იგი იარაღი იყო ტარნოვსკისას ანგარ-მოყვარეობისა.

დიაღ, ტარნოვსკაია გენიალური ავანტიურისტი გამოდგა. იგი ძლიერი ინდივიდუალურ-პსიხოლოგიური ტიპია, და ამ ტიპის გიმორკვევას ინტერესით ადევნებს თვალყურს მთელი ევროპის საზოგადოება. მხოლოდ ეხლა, საქმის გარჩევის დროს, ირკვევა, რა ბოროტი სული იყო ტარნოვსკისა. არც ერთი თავისი საყვარელი არ გაუშვია უვნებელი და დაუტანჯველი. ყველანი გააკოტრა და თავის სურვილის სათამაშოდ გაიხადა. ამასაც არა სჯერდებოდა: თითქმის ყველას უნერგავდა იმ აზრს, რომ თავი უნდა მოიკლაო. რამდენმამე კაცმა კიდეც მოიკლა თავი. პრილუკოვსაც, როგორც ეხლა სასამართლოში განუცხადებია, ტარნოვსკის ჩაგონებით გადაეწყვიტა თავის მოკვლა. ყველანი ერთხმად მოწმობენ, რომ ამ ქალს საოცარი, რაღაც ჯადოსნური გავლენა ჰქონდა მამაკაცებზე. ერთხელ იმის კლანჭებში ჩავარდნილი მამაკაცი თავს ვეღარ აღწევდა, ივიწყებდა მთელ ქვეყანას, ოჯახს, შვილებს და მისი ყურ-მოჭრილი მონა ხდებოდა.

საქმის გარჩევა ჯერ არ დამთავრებულა. ამბობენ ერთ-ორ კვირას კიდევ გასტანსო.

თეატრი და ხელოვნება

ქუთაისი. (საყველივრო რეპერტუარი) ყველიერის ბოლო დღეებში დასმა ზედი-ზედ გამართა სამი წარმოდგენა. პარასკევს ითამაშეს ვასო აბაშიძის მონაწილეობით: „პარიზის ღარიბ-ღატაკნი“. ცუდ დროს შეხვდა თამაში ამ პიესას, და ამიტომ ხალხი ნაკლებად დაესწრო. თამაშით მაინც ერთგულად და მწყობრად ითამაშეს. გასტონის როლი ბ-ნ აბაშიძის ერთი საუკეთესო როლთაგანია და რაღა თქმა უნდა, ნაჭითა და ხელოვნებით შეასრულა იგი. მას ღირსყულად მხარს უჭერდა ბ-ნი გუნია პანკირ დიუვალის როლში. ტიპიური მხატვარი იყო ბ-ნი ყალაბეგიშვილი. დანარჩენებიც მხარდამხარ მისდევდნენ ერთმანეთს.

უკანასკნელი სურათის მწყობრი მიმდინარეობა შეფერხდა. ბ-ნ ნემოს კულისებიდან გამოსვლას აღარაფერი ეშველა. მოთამაშეებით სავსე სცენა გაცივდა. ყველა თვალების ბრიალით ერთმანეთს მიაჩერდა და კარგა ხნის ჩურჩულით ძახილის შემდეგ ბ-ნი ნემოც გამოჩნდა და შეწყვეტილი სცენა გაგრძელდა.

შაბათს მესამედ ითამაშეს ამ სეზონში „ღალატი“. ეს წარმოდგენა წინა წარმოდგენებზე რამდენიმე საფეხურით მაღლა იდგა. ჭეშმარიტად ამ პიესის შესრულებისათვის მსახიობთა და რეჟისორს მზადება და მუყაითობა არ მოსჭარბდებათ. როლები ძველებურად იყო განაწილებული და ყველას ღირსეულად ეჭირა თავისი ადგილი, ბესოს გარდა.

დადიანი ეხლა გაცილებით უკეთესი სულეიმანი იყო, ვიდრე წინად. ტყუილად ზოგავს ეს მსახიობი ხმას. ალაგ-ალაგ საჭიროა მრისხანე ხმა, ძლიერი გამოთქმა და თუ მოინდომებს, ეს არც ისე ძნელია იმისთვის.

რა გვეთქმის ნინო ჩხეიძეზე (ზეინაბის როლში) იმაზე მეტი, რაც, უკვე გვითქვამს. უკანასკნელ სურათში, თავის მოკვლის წინ, ისე ძლიერად გადმოდგვცა ზეინაბის სულის კვეთება, რომ მსახიობ ქალს ეს მეტად ძვირად დაუჯდა. საზოგადოება თამაშით თუმცა მოხიბლა, მაგრამ ეს თავგამოდება მაინც ბევრს საწყენად დარჩა. ჩვენ ვიმეორებთ, მისი ნიჭით ვაფასებთ იმის ჯანმრთელობას და ამიტომ ნაკლების მღელვარებითაც რომ გადმოგცეს ამგვარი სცენები, არავინ დავემდურებით...

მეტეხის აფეთქება, თუ ჩვენს ღარიბ სცენას გავუწევთ ანგარიშს, კარგი იყო. თუმცა ერთი შენიშვნა აქაცაა საჭირო. აფეთქების ხმის შემდეგ უნდა წითლდებოდეს არე-მარეცა და ამ დროს უნდა ავარდეს ჰაერში მეტეხი, რომელსაც თან მოსდევს კვამლი და ალი, თორემ ჯერ მეტეხის დაქცევა და შემდეგ სცენის გაწითლება ულამაზოდ გამოდის.

პირველ მოქმედების დასასრულში თარი კიდევ არ უკრავდა.

კვირის წარმოდგენით დასრულდა ზამთრის სეზონი. ამ საღამოს ითამაშეს შიუკაშვილის „მეგობრობა“ და გომართელის „დრამ. გამგ. წევრი“.

პირველმა პიესამ საერთოდ სუსტად ჩაიარა და არც გასაკვირველია, დანიშნულ დრამის ნაცვლად ამ პიესის წარმოდგენა მხოლოდ კვირა დილით გადასწყვიტეს და ამიტომ ვეღარ მოასწრეს მომზადება. ფარდის ახდისათანავე თავი იჩინა როლის უცოდინარობამ. ზოგიერთებს არა უშავდათრა, მაგრამ ქ-ნ დავითაშვილისას-კი პირველად ვხედავთ ასე უგულოდ და უსიცოცხლოდ როლის გადმოცემაში

ამ ნაკლს კიდევ ერთი „სიურპრიზიც“ დაემატა. მეორე მოქმედების მიმდინარეობის დროს კულისებიდან რაღაც საეჭვო ხმაურობა მოისმა, საზოგადოებამ ვერ გაიგო მიზეზი (კიდევ კარგი, თორემ უარესი იქნებოდა) და აღელდა, ახმაურდა. მოქმედება შეწყდა. ცოტა ხნის შემდეგ სცენა განახლდა და ბ-ნმა გუნიამ დაამშვიდა საზოგადოება. კულისებში თურმე ცეცხლი გაჩენილიყო, მაგრამ, საბედნიეროდ, მალე ჩაქრეთ.

ამის შემდეგ პიესა უკეთეს ანსაბლით წავიდა, მაგრამ ალიაქოთის გავლენა მაინც ეტყობოდათ მოთამაშეთ და საზოგადოებასაც.

გომართელის ახალმა კომედიამ ბევრი აკინა დამსწრენი. ცოცხლად წარმოადგინეს. უმთავრეს როლს დრამ. გამგ. წევრისას თამაშობდა ვასო აბაშიძე.

შაბათის და კვირის წარმოდგენებს ხალხი საკმაოდ დაესწრო. სცენაზედ თავმოყრილ მსახიობთ საზოგადოება თანაგრძნობით გამოემშვიდობა ..

ჯაფარ-ფაშა.

საზოგადოების საყურადღებოდ

როგორც შევიტყეთ, ვიღაც ბიჭებუქები დაიარებიან თურმე ოჯახებში და ძალის-ძალად აჩეჩებენ ქართულ წარმოდგენის ბილეთებს ავლაბრის სცენის-მოყვარეთა სახელით, ვითომდა წარმოდგენა იმართებოდეს საქველმოქმედო მიზნით. ამ ბოლო დროსაც ვიღაცეები ქ-ნ კანდელაკის და ბ-ნ მაჭავარიანის სახელით მისულან ალალო თუთაევთან და ფული გამოურთმევიათ.

ერთხელ კიდევ ვაუწყებთ საზოგადოებას, რომ ავლაბრის ქართულ დრამატიულ ხელოვნების მოყვარეთა ამხანაგობის დასს, რომელმაც ეს ერთი ხანია შეაჩერა წარმოდგენების მართვა ავლაბრის თეატრში დირექციასთან შეუთანხმებლობისა გამო, არავითარი წარმოდგენა არ გაუმართავს საქველმოქმედო მიზნით, გარდა ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის იუბილეისა და შემდეგშიაც აზრად არა აქვს ამ გვარი წარმოდგენები მართოს. ამ დასის ერთადერთი მიზანია, ავლაბარში მართოს სახალხო წარმოდგენები. ჩვენ მიერ გამართულ ქართულ წარმოდგენების ბილეთების ხელზე გაყიდვა ამხანაგობას სრულიად აკრძალული აქვს და ვისაც ბილეთის ყიდვა სურდა, დღევანდლამდე მხოლოდ თეატრის კასსაში ყიდულობდა და დღეის შემდეგაც თუ კიდევ განაგრძობთ წარმოდგენების მართვას, ამნაირად გაიყიდება ბილეთები. და თუ შემდეგში კიდევ ვინმე აღმოჩნდება და ჩვენის სახელით ბილეთებს ხელზე გაჰყიდის, ვაცხადებთ, რომ ის პირნი ჩვენ დასს არ ეკუთვნიან. ისინი ვიღაც ბიჭ-ბუქები არიან, რომელნიც წარსულ ოთხი წლის განმავლობაში ძალი-ძალათ ბილეთების გაყიდვით მოსვენებას არ აძლევდნენ ავლაბრის მცხოვრებთ. ეს ვაუბატონები უფრო შანტაჟისტები არიან, ვინემ მართლა სცენის-მოყვარენი.

ავლაბრის ქართ. დრამატ. ხელოვნ. მოყვ. ამხ. გამგ. წევრი **ი. მჯელიშვილი.**

უცხოეთი

ასკვიტის ახალი განცხადება.

„ინგლისის ბირველ მინისტრს ასკვიტს კონსერვატორები კიდევ შეეკითხნენ სამინისტროს ტაქტიკის თაობაზე. კონსერვატორებმა ჭკითხეს ბირველ მინისტრს: „სამინისტრო ადგილობასა და საკანონმდებლო კანიკულებს შუა წარუდგენს ბალატას ბიუჯეტს თუ არაო“. ბიუჯეტის წინანდელი გულმოდგინე მტრები—კონსერვატორები ეხლა ძლიერა ცდილობენ, რომ ასკვიტის სამინისტრომ რაც შეიძლება ჩქარა დამტკიცოს ბიუჯეტი: მათ ეშინიათ, რომ დიბერალურმა სამინისტრომ ბიუჯეტის დამტკიცებამდე უცებ მათ სამინისტროს არ დაუიმოს ადგილი და კონსერვატორებს არ მოასვიონ თავზე იმ საფინანსო არეულობის მოწესრიგება, რომელიც გამოიწვია შარშანდელ ბიუჯეტის დორდების მიერ უარეოფამ. ბიუჯეტის თაობაზე ასკვიტმა უპასუხა კონსერვატორებს: ბიუჯეტს საკანონმდებლო კანიკულების წინ წარმოგუდგენთ ბალატასა, მაგრამ როგორც 15 თებერვალს უკვე ვსთქვი,, ბიუჯეტს მხოლოდ იმის შემდეგ წარმოგუდგენ, როდესაც დეპუტატთა ბალატა დამტკიცებს რეზოლიუციებს დორდთა ბალატის წინადადებაზე. შესაძლებელია, რომ დორდების მიერ უარეოფილი ბიუჯეტი ბირდაბირ შეეგუ�ახალ წლის ბიუჯეტსა (ინგლისში საფინანსო წელიწადი იწყება ბირველ აპრილიდან).

კონსერვატორები კიდევ შეეკითხნენ ასკვიტს: „მაშინ როგორ-და მოიქცევით, თუ დორდები უარჰყოფენ მათ წინადადებას ბალატის მიერ მიღებულ რეზოლიუციებს?“ ბასუხად ასკვიტმა სიტყვა-სიტყვით კაიმეორა ფინანსთა მინისტრის დოიდ-ჯორჯის ნათქვამი: „თუ დარწმუნებულნი არ ვიქნებით, რომ ჩვენი წინადადება კანონად გადიქცევა, მაშინ უთუოდ სამსახურიდან გადავდგებითო“.

დიბერალები, ირლანდიელები და მუშები ძლიერის ტაშის ცემით მიეგებნენ ასკვიტის ასეთს განცხადებას.

ცხადია, რომ თუ დორდები უარჰყოფენ მათ წინადადებას მიმართულ რეზოლიუციებს და თუ მეფეც არ დაამტკიცებს ასკვიტს გარანტიებს, მაშინ სამინისტრო ადარ მოუცდის ბიუჯეტის დამტკიცებას და აწყვიტ-დაწყვიტ, არეულ საფინანსო საქმეების მოგვარებას კონსერვატორებს მოახვევს თავზე. ხოდა ინგლისის საფინანსო საქმეები ამ ჟამად მართლაც-და აწყვიტ-დაწყვიტია. შემოსავლის დაკვალად გადასახადი ეხლავე 13 მილიონ გირვ. სტერლინგით ნაკლებია შეტანილი დანიშნულზე, ხოდა საბიუჯეტო წლის გასვლამდე, ალბად, 20 მილიონ გირვანქამდეც დაკლდება. წარსულ წლის ბიუჯეტი ჯერ კიდევ დაუმტკიცებელია, როდესაც საცა ახალ საბიუჯეტო წლის გადასახადების მოგროვებას უნდა შეუდგნენ. საზღვის კანცლერმა ლოიდ-ჯორჯმა განცხადა, რომ ხაზინას დიდი ფული დაკლდება იმ შემოხვევაშიც-კი, გინდ ბიუჯეტიც დამტკიცოს ბალატამაო.

როცა დეპუტატთა ბალატა საფინანსო საქმეებს არჩევს ხოლმე, კონსერვატორები ეოგენდნაირად ცდილობენ სამინისტროს გაუადვილონ ამ საქმეების მოწესრიგება. როგორც ვიცით, 15 თებერვალს კონსერვატორები მზად იყვნენ მხარი დაეჭირათ სამინისტროსთვის, როდესაც მას კინადამ არ გადუდგნენ ირლანდიელები და რადიკალები. ასეთის ტაქტიკისთვის კონსერვატიული გაზეთ „მარნინგ ბოსტ“-ი მკაცრად ჭკიცხავს კონსერვატორების მეთაურებს: მათ მარჯვე წამით ვერ ისარგებლეს, 15 თებერვალს შეეძლოთ ირლანდიელები მიემხროთ, მათ შემწეობით სამინისტრო დაეცა თ და საკუთარი სამინისტრო შეეკვანა თ. მაგრამ კონსერვატორები მაინც თავისას არ იშლიან და ბეჯითად მოითხოვენ მთავრობისგან, რომ იგი შეეცადოს შემოსავლის დაკვალად გადასახადის დაკანონებას. კონსერვატორები დაჟინებით ჩასჩიჩინებენ სამინისტროს: „დიდ ცოდვას ჩასდიხართ მით, რომ ბარტიულ ანგარიშს მსხვერბლად სწირავთ ინგლისის ინტერესებსაო“. მაგრამ მინისტრები ეურს არ უგდებენ კონსერვატორების წუწუნს და შედგრად უპასუხებენ: ან მთელი შარშანდელი ბიუჯეტი უნდა დამტკიცდეს, ან სულ არ გვინდა მის ნაწილის დამტკიცებაო. თუ ინგლისს ზარადი მოსდის, კონსერვატორებმა იმათ უნდა დასდონ ამ ზარადის ბრალი, ვინც ბიუჯეტის უკანონოდ უარეოფით ასეთს გაჭირვებაში ჩააგდო ინგლისიო“.

ბრძოლა საარჩევნო უფლებისთვის პრუსიაში.

ბრუსიის თავრობა ძლიერა ცდილობდა, რომ ნაციონალ-დიბერალების ბარტია დაეეოდებინა თავის საარჩევნო კანონ-ბროექტის დამტკიცებაზე, მაგრამ მისმა შეცადინეობამ არ გასჭრა. ნაციონალ დიბერალები ჯერ-ჯერობით მაინც შედგრად მოითხოვენ ბირდაბირ და ს